გამოცემის 103-ე წელი

# აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№65 (25.089) ხუთშაბათი, 22 - 23 ივნისი, 2023 წ. 50 თეთრი


## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 20-25, შიდამთიან რაიონებში - 18-23 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 20 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „საქართველოს კიბერუსაფრთხოების ფორუმი-2023"-ის გახსნით ღონისძიებაზე განაცხადა. ორდღიანი ღონისძიება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის ორგანიზებით იმართება. ფორუმის მიზანია კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევებისა და თანამედროვე მიდგომების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და საერთაშორისო დონეზე, კიბერკომპონენტის საშუალებით, საქართველოს პოზიციონირების გაძლიერება.

* * *

ჩვენ აქ ვართ, რათა შემოგთავაზოთ და დაგარწმუნოთ ჩვენს ენთუზიაზმით სავსე მხარდაჭერაში თქვენი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ, - განაცხადა ირლანდიის პარლამენტის სპიკერმა შონ ო'ფარელმა ქართველ კოლეგა შალვა პაპუაშვილთან შეხვედრის შემდეგ. მისი თქმით, შეხვედრაზე საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი განიხილეს. „მოუთმენლად ველით თქვენთან, როგორც თანასწორ პარტნიორებთან მუშაობას ევროკავშირის გაძლიერების საქმეში", - აღნიშნა შონ ო'ფარელმა.

* * *

საქართველომ ევროკავშირის 12 რეკომენდაციიდან 3 სრულად შეასრულა: გენდერული თანასწორობასთან დაკავშირებული, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებასთან დაკავშირებული და ასევე სახალხო დამცველის დანიშვნასთან დაკავშირებული, - გამოცემა **euractiv**-ის ინფორმაციით, ამის შესახებ ევროკომისიის შუალედურ ანგარიშშია აღნიშნული, რომელსაც ამ კვირაში ზეპირი სახით წარადგენენ. გამოცემის ცნობით, თბილისს სთხოვენ ფოკუსირებას პოლიტიკურ დეპოლარიზაციაზე, სასამართლო რეფორმებზე, დეოლიგარქიზაციისა და მედიის თავისუფლების მიმართ უფრო სისტემურ და არა პიროვნულ მიდგომაზე.

* * *

„ნაციონალური მოძრაობა" ჩვენ გარშემო გაერთიანებას არავის ვთხოვთ, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატმა გიორგი ბოტკოველმა. მისი თქმით, როცა საუბარია ერთიანობაზე, ამას არასწორ ინტერპრეტაციას აძლევენ, რეალურად კი „ნაციონალური მოძრაობაში" მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ ერთიანობას გულისხმობენ.

მოამზადა
ია შველიძემ

# რა კეთდება და რა გამოწვევა რჩება რეგიონში ტურიზმის მიმართულებით?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*აჭარის საკანონმდებლო ორგანოში, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2022-2023 წლების საქმიანობის ანგარიშით აღნიშნული დეპარტამენტის თავმჯდომარე თინათინ ზოიძე წარსდგა*



უწყების ხელმძღვანელმა საზოგადოებას, ასევე, მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე წელს აჭარაში ტურისტული სეზონის მზადებასთან დაკავშირებით, ყურადღება გაამახვილა რეგიონის პოპულარიზაციის, ტურისტული პროდუქტების განვითარებისა და სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებზე და დასძინა, რომ არაერთი საერთაშორისო ღონისძიება, რომელსაც წელს ბათუმი უმასპინძლებს, პოზიტიურად აისახება რეგიონში ტურისტების რაოდენობის ზრდასა და ქალაქის დადებითი იმიჯის პოზიციონირებაზე.

- აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისთვის ბოლო წლები გამოწვევებით სავსე იყო: მსოფლიო პანდემია, პოსტპანდემიური კრიზისი, გლობალური გამოწვევები და უკრაინაში მიმდინარე ომი, თუმცა სხვადასხვა კერძო თუ საჯარო უწყებასთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად, დეპარტამენტმა და მისმა თანამშრომლებმა შეძლეს შიდა და საერთაშორისო ვიზიტების აღდგენის კუთხით ეფექტური ღონისძიებების განხორციელება და ზაფხულის ტურისტული სეზონისთვის მოსამზადებელი სამუშაოების წარმატებით ჩატარება. ტურიზმის დეპარტამენტის მიერ აქტიურად გრძელდება მიმდინარე წლის პრიორიტეტების მიხედვით რეგიონის საერთაშორისო ცნობადობის და პოპულარიზაციის, სერვისების განვითარებისა და ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაციის საკითხებზე შედეგიანი მუშაობა, - აღნიშნა თინათინ ზოიძემ.

მისივე თქმით, 2023 წელი რეგიონში წარმატებით და მზარდი სტატისტიკით გამოირჩევა. 2023 წლის იანვარ-მარტის მონაცემით, უცხოელი ვიზიტორების მიერ აჭარაში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა ჯამში 333848 ვიზიტს შეადგენდა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 93 %-ით გაზრდილია, ხოლო 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით - 33 %-ით. უწყების ხელმძღვანელის ინფორმაციით, ასევე გაზრდილია მიმართულებებისა და საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა ბათუმის აეროპორტშიც. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ტურისტული პროდუქტების განვითარების მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მთიან აჭარაში აქტიურად მიმდინარეობს ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარება და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.


## იტალიელი საოპერო აგენტი - ბათუმში 2

## «ციტრუსკომბინატის აშენება აჭარის მოსახლეობას «ოქროს რთველს» დაუბრუნებს» 3

## უცხოენოვანი ვიდეოები და მეტყველების შეფერხება - ბავშვებში 4

## «ახალგაზრდები საქართველოსთვის» ფრთებს შლის 5

## ფურტიოელებს მალე რაგბის სტადიონი ექნებათ 6

## პოეზიის მოყვარულთა პაემანი შედგა... 7



ISSN 2720-8702



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# ინკლუზიური განათლების ცენტრი მოინახულეს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით პროექტის - „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში“ განხორციელება შარშან დაიწყო. ანალოგიური ცენტრი უკვე მოქმედებს ქედაში*

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, ქედის რესურსცენტრის უფროსი დურმიშხან შავიშვილი, ნორვეგიის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოსა და სომხეთში მარკო სოლდიჩი, საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი ემი ქლენსი ქედის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების ცენტრში იმყოფებოდნენ.



პროექტის ფარგლებში, აჭარის ორ მუნიციპალიტეტში ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლისა და თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქობულეთის №3 საჯარო სკოლის ბაზაზე შექმნილი ინკლუზიური განათლების ცენტრები მომსახურებას გაუწევენ თითოეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სსსმ მოსწავლეებს სკოლისშემდგომი საგანმანათლებლო და სახელოვნებო-შემეცნებითი აქტივობების შეთავაზების კუთხით.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლისა და სსიპ „თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქობულეთის №3 საჯარო სკოლაში“ ინკლუზიური განათლების ცენტრების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ინვენტარითა და თვალსაჩინოებით მომარაგება, რაც მოიცავს საგანმანათლებლო და სახელოვნებო-შემეცნებითი სექციების მოწყობას.

ორივე სკოლაში საჭირო სპეციალისტები გადამზადდნენ, მათ უკვე შეუძლიათ მოსწავლეების პრაქტიკული დახმარება და ზედამხედველობა ინკლუზიური განათლების სერვისების მიწოდების კუთხით.

ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლისა და თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქობულეთის №3 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების ცენტრებში ამა წლის მაისსა და ივნისში მიმდინარეობს საგანმანათლებლო და სახელოვნებო-შემეცნებითი სერვისების პილოტირება. ამ ეტაპზე ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების ცენტრში დარეგისტრირებულია 14 სსსმ მოსწავლე, თეიმურაზ ჯორბენაძის სახელობის ქობულეთის №3 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების ცენტრში კი 23 მოსწავლე. ინკლუზიური განათლების ცენტრები ორივე სკოლაში სრული დატვირთვით მუშაობას 2023 წლის სექტემბრიდან დაიწყებენ.

## ამბები

# ტელევიზორი – მარტოხელას

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

*შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა წესად აქციეს საქველმოქმედო აქციები. სახელფასო დანაზოგებიდან ხელმოკლე, მარტოხელა, სოციალურად დაუცველ ოჯახებს ტელევიზორებს გადასცემენ.*

მორიგი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, დაბა შუახევის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა დავითაძემ სოფელ სხეფში მცხოვრებ მარტოხელა ქალბატონ ნათელა დავითაძეს ოჯახში საჩუქრად მიუტანეს პლაზმური ტელევიზორი.

- მადლობა მინდა გადავუხადო მხარდაჭერისთვის საკრებულოს უმრავლესობის წევრებს, რომლებიც თავიანთი დანაზოგიდან მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს ყოველთვიურად აქტიურად ეხმარებიან, - გვითხრა როსტომ ლორთქიფანიძემ.

# იტალიელი საოპერო აგენტი – ბათუმში

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ცნობილი ტენორის, მანჰაიმის (გერმანია) თეატრის სოლისტის, ჩვენი თანაქალაქელის ირაკლი კახიძის იდეითა და საოპერო სოლისტ ეთერ ხალვაშის ორგანიზებით, ბათუმში იმყოფებოდა საოპერო სააგენტო „Trucco Management“-ის დამფუძნებელი ჯორჯო ტრუკო, რომელმაც საოპერო მომღერლებს მოუსმინა.*



მასთან ერთად იყო ირაკლი კახიძეც, იდეა კი ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურმა ცენტრმა (დირექტორი ოთარ მიქელაძე, მთავარი ადმინისტრატორი - ჯაბა სალუქვაძე) განახორციელა.

მოსმენის მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ბათუმელი მომღერლების გარდა, მასში მონაწილეობდა თბილისისა და ქუთაისის როგორც ახალგაზრდა და დამწყები (25-დან 45-წლამდე), ისე უკვე შემდგარი 30-მდე მომღერალი. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული მოსმენის მიზანი ქართველი მომღერლების ევროპის საოპერო თეატრებში დასაქმება გახლავთ და რაც მთავარია, ეს ყველაფერი მონაწილეებისთვის უფასო იყო. როგორც ჩვენმა თანაქალაქელმა, მსოფლიოში ცნობილმა ტენორმა ირაკლი კახიძემ გვითხრა, ამით სურს დაეხმაროს ახალგაზრდა მომღერლებს შემოქმედებითი გზის გაკვალვაში, ისევე როგორც თავის დროზე მას დაეხმარნენ. ასეთი სიკეთე - პატარა „ხელის წამოკვრა“, ხშირად დიდი საქმის დასაწყისია, რასაც არასოდეს ივიწყებს. ირაკლი კახიძე ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის ყოფილი წამყვანი სოლისტია, დღეს ის დამსახურებულადაა აღიარებული უცხოეთში, კმაყოფილია, რომ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი ამ იდეის განხორციელებაში გვერდით დაუდგა. უხარია, რომ მოსმენის მასპინძელი მისი უსაყვარლესი ქალაქია, ისიც, რომ ამ ღონისძიებამ მთელი საქართველო მოიცვა. მომღერლები აგენტის წინაშე ორ-ორი სიმღერით წარსდგნენ.

ჯორჯო ტრუკო ბათუმში მხოლოდ ერთი დღით ჩამოვიდა, მაგრამ, როგორც ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ეს ერთი დღეც ძალიან დიდი შანსია მომღერლისთვის, რომ პოპულარული გახდეს.

- ორმაგად გამიხარდება, თუ აგენტი აღმოაჩენს კარგ მომღერალს. აქ რამდენიმეწუთიანმა მოსმენამ, შესაძლოა, ამა თუ იმ მომღერლის ცხოვრებაში ბევრი რამ გადაწყვიტოს. ვფიქრობ, ძალიან დიდი საქმეა, როცა აგენტი „სახლში გაკითხავს“. წარმოიდგინეთ, ამდენი ადამიანის უცხოეთში გამგზავრება რა ხარჯებთანაა დაკავშირებული, მერე შესაძლოა, იმ აგენტმა შენი მოსმენა სულაც არ მოინდომოს. აქ კი ჩამოვიდა. სახლში ბევრად უფრო მყარადაც გრძნობ თავს, რადგან სხვაგან მოსმენას ყოველთვის ძალიან დიდი მღელვარება სდევს თან, ეს გამოცდილი მაქვს, ფსიქოლოგიურადაა ძალიან რთული. ყველას წარმატებას ვუსურვებ. ჩემი აზრით, მსგავსი მოსმენები ხელს შეუწყობს ამ სფეროს განვითარებას. თუ ეს სისტემატურ სახეს მიიღებს, მომღერლებიც უფრო მოემზადებიან, უფრო დიდი სტიმულიც ექნებათ განვითარებისათვის. აგენტი კმაყოფილი ჩანდა. თავადაც აღნიშნა ეს, როცა თქვა, ძალიან ლამაზი და ძლიერი ხმებიაო, - გვითხრა ირაკლი კახიძემ და დაამატა, რომ ასეთი მოსმენები ტრადიციული გახდება, რასაც სხვადასხვა სააგენტოსთან ერთად განახორციელებს.

იხ. მე-7 გვ.

# რა კეთდება და რა გამოწვევა რჩება რეგიონში ტურიზმის მიმართულებით?

პირველი გვერდიდან

- ქობულეთში - ისპანის ტორფნარებზე გარემოსთან ადაპტირებული ტურისტული ბილიკებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს. სახალვაშოში განახლდა ფრინველებზე დაკვირვების პლატფორმა, სოფელ ჩაქვისთავში კი სადამკვირვებლო პლატფორმის განახლების პარალელურად მოეწყო საპიკნიკე სივრცე და საქანელები.

ხელვაჩაურში მიმდინარეობს მირვეთის ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკების მოწყობა, სოფელ კაპნისთავში შეიქმნა ახალი კანიონგის - კასკადოვან ჩანჩქერებზე დაშვების ექსტრემალური ტურისტული პროდუქტი, მოეწყო დაშვების ლოკაციები. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად მიმდინარეობს ეთნოსოფლის პროექტის ფარგლებში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა მაჭახელაში, რომლის ფარგლებშიც უკვე გაიხსნა მაჭახელას ეთნოსოფლის ვიზიტიორთა ცენტრი. ქედაში დაემატება ახალი საპიკნიკე ტერიტორიები ზედა მახუნცეთში და ხარისსაწოლის იალაღებზე, მოეწყო დანდალოს ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკი და ჩანჩქერი უკვე შევიდა ტურისტულ მარშრუტებში. საპიკნიკე ინფრასტრუქტურა მოეწყო მთა ნაკონალვარსა და მთა მილისზე. სპორტული ტურიზმის მოყვარულებისთვის ამოქმედებულია კავიანის სამთო ველობილიკიც.

შუახევში უკვე გაიხსნა და ვიზიტიორებს იღებს ჯვარიმინდორის ტურისტული თავშესაფრები, სადაც მოწყობილია საშხაპეებიც, საკოცონე და ღამისთვის სივრცეებიც. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ჭვანის ხეობაში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის გამოყოფილი აქვს 10 მლნ ლარი. ასევე, დაახლოებით 10 მლნ ლარი დაიხარჯება ჩირუხის მთაზე ევროპაში ყველაზე გრძელი, ორზოლიანი ზიპლაინის მოწყობისთვის.

ხულოში გრძელდება ხიხანის ციხეზე მისასვლელი ბილიკის მშენებლობა. ღორჯომში დაიწყო საცხენოსნო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები. უჩხოს ხეობაში მოეწყო კანიონინგის სადგურები. უკვე გაიჭრა და კეთილმოეწყო კანიონინგთან მისასვლელი ბილიკები, გადამზადდნენ კანიონერები და აღიჭურვნენ სპეციალური ფორმებით. აჭარული სამზარეულოს, ტრადიციებისა და რიტუალების პოპულარიზაციის მიზნით, მომზადდა გზამკვლევები „აჭარის კულინარიული გზამკვლევი“ და „ხალხური ტრადიციები და რიტუალები აჭარაში“. წლის ბოლომდე აღნიშნულს შეემატება გზამკვლევები რეგიონის რეწვის დარგების, აჭარის ზღვისა და შიდა წყლების თევზეულობის შესახებ. აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ახალი საპიკნიკე ზონების მოწყობა და ტურისტული ობიექტების განიშნულიანება, ასევე, ახალი სამთო-საველოსიპედო ბილიკების მარკირება. პარალელურად მიმდინარეობს ისეთი მნიშვნელოვანი ფესტივალების ჩატარება და ორგანიზება რეგიონში, როგორებიცაა „ზაფხულის ფესტივალი“, სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა“ და ფრინველებზე დაკვირვების საერთაშორისო ფესტივალი. წელს, პირველად, ბათუმმა უმასპინძლა სოფლის ტურიზმის გენერალურ ასამბლეას, რომლის ფარგლებშიც სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციაც გაიმართა.



აღსანიშნავია, რომ აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონის პოპულარიზაციისა და ტურისტების მოზიდვის მიზნით აქტიურად აგრძელებს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობას, პრეს და ინფოტურების ორგანიზებას, სარეკლამო კამპანიებს სამიზნე ქვეყნებში, - განაცხადა თინათინ ზოიძემ. მან ასევე ისაუბრა World Trawel Awards-ის ევროპის დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელსაც წელს პირველად ბათუმი უმასპინძლებს და რომლის ფარგლებშიც რეგიონს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ტურიზმის ინდუსტრიის წამყვანი კომპანიების, სასტუმროების, ტურსააგენტოების, ბიზნესის და სახელმწიფო ორგანიზაციების, ასევე, საერთაშორისო მედიის 300-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრება.

დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ტურიზმის სფეროში არსებულ გამოწვევებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამ მხრივ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება სერვისის დონე აჭარის რეგიონში, რის გამოსწორებაზეც აქტიურად აგრძელებენ მუშაობას. თინათინ ზოიძის ინფორმაციით, შეიქმნა სერვისის განვითარების ხელშეწყობისთვის ონლაინპორტალი serviceajara.ge, სადაც განთავსებულია ტურიზმის დეპარტამენტის ტრენინგების კალენდარი, ვიდეოგაკვეთილები, სახელმძღვანელოები და რომლის მეშვეობითაც პორტალზე რეგისტრირებულ სექტორის წარმომადგენლებს მუდმივად აქვთ წვდომა სერვისის გაუმჯობესების კუთხით რეგიონში დაგეგმილ ღონისძიებებზე, ტრენინგებსა და მასტერკლასებზე.

# „ციტრუსკომბინატის აშენება აჭარის მოსახლეობას „ოქროს რთველს“ დაუბრუნებს“

***ის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის ციტრუსის მოყვანას, სადავო არაა. ძველ და საშუალო თაობას კარგად ახსოვს, საბჭოთა პერიოდში აჭარა-გურია-სამეგრელოს მოსახლეობისთვის ციტრუსების უხვი მოსავალი შემოსავლის როგორი წყარო იყო***

*„ოქროს რთველის“ ნაყოფის რეალიზაცია არავის უჭირდა და ეს კიდევ უფრო სასურველსა და სარფიანს ხდიდა ამ კულტურის მოვლა-პატრონობას. მოსახლეობა მოყვანილ ციტრუსის ნაყოფს მტკიცე ფასებში აბარებდა და იმდენი მოგება რჩებოდა, რომ გაწეული შრომა წყალში ჩაყრილად კი არ ჩაეთვალა, ფრიად კმაყოფილი დარჩენილიყო თავისი ჯაფის შედეგით. სახელმწიფოსთვისაც მოგება მოჰქონდა ციტრუსის უხვ მოსავალს, მოსახლეობა კი იმდენად იყო დაინტერესებული ამ კულტურის მოყვანით, რომ საკარმიდამო ნაკვეთებში თითქმის ყველა ხეხილი და ბოსტნეული ციტრუსით ჩაანაცვლა.*

*ეს სურათი წარსულში დარჩა. სამწუხაროდ, დღეს ციტრუსის მოყვანა წამგებიან საქმედ ითვლება. გარდა იმისა, რომ ნელ-ნელა ნადგურდება ციტრუსის ბაღები და ჩვენი კუთხის მოსახლეობისთვისაც კი მისი ნაყოფის შეძენა საკმაოდ რთული გახდა, ამ კულტურის რეალიზაციის გზების დაკარგვამ მკვეთრად იმოქმედა აჭარის მოსახლეობის კეთილდღეობაზეც.*

*რა უშლის ხელს, რომ ციტრუსი კვლავ გახდეს აჭარის მკვიდრთა შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო? რატომ ვერ ვპოულობთ ნარინჯისფერი მოსავლის გასაღების გზებს და ვერ ვეხმარებით გლეხებს ამ პროდუქციის მოყვანა-რეალიზაციაში? ვფიქრობთ, ეს ერთ-ერთი აქტუალური თემაა დღეისთვის, ამიტომ ხშირად მივუბრუნდებით. სანამ კონკრეტულ შეკითხვებს სპეციალისტებსა და ამა ქვეყნის ძლიერებს დავუსვამთ, კვლავ გვინდა, გავესაუბროთ ციტრუსის მოყვანის, მოვლა-პატრონობის დიდ გულშემატკივარს, მომსახურების სფეროს დამსახურებულ მუშაკ* ***ომარ შამილიშვილს,*** *რომელიც ძალიან ცდილობს ამ საკითხის წინ წამოწევას თავისი კუთხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ეს კარგად ჩანს მასთან ჩვენს ადრინდელ ინტერვიუებშიც.*

**- მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რატომ იყო ციტრუსის მოყვანა რამდენიმე ათეული წლის წინათ მომგებიანი?**

- დიახ, სწორედ იმიტომ, რომ უაღრესად მომგებიანი იყო, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების მოსახლეობას საკარმიდამო ნაკვეთებში მხოლოდ ციტრუსი ჰქონდა გაშენებული. ამ კულტურის მოვლა-პატრონობაში გლეხებს სახელმწიფო ეხმარებოდა, უფასოდ აძლევდა მინერალურ და ორგანულ სასუქებს. წელიწადში 4-ჯერ უფასოდ შეუწამლავდა ხოლმე ციტრუსს, მოსავალსაც სახელმწიფოს აბარებდა და გვარიანი შემოსავალიც ჰქონდა როგორც მოსახლეობას, ისე ქვეყნის ბიუჯეტს. ამ შემოსავლებით მოსახლეობა სახლებს აშენებდა, ავტომანქანებსა და სხვა ქონებას ყიდულობდა, წელგამართულად ცხოვრობდა, წლიდან წლამდე ჰყოფნიდა მიღებული ანაზღაურება. მარტო ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში მუშაობდა ციტრუსის გადასამუშავებელი 12 პავილიონი და დამზადების 42 პუნქტი. ერთი პავილიონი დღეღამეში 80-100 ტონა ციტრუსს ახარისხებდა და სხვადასხვა ქვეყანაში სარეალიზაციოდ გზავნიდა. დამზადების პუნქტების დახმარებით დღეში 12 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი მზადდებოდა და ვაგონებით მიემართებოდა დანიშნულების ადგილებზე. ასევე, ხდებოდა ციტრუსის გაცვლა სურსათზე, სამრეწველო და სამეურნეო საქონელზე, ავეჯზე და სხვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოსახლეობა მარტო აღმოჩნდა თავის მეურნეობასთან, დაიშალა და თურქეთში გაიყიდა შემფუთავი პავილიონები, გაუქმდა დამზადების პუნქტები იმ იმედით, რომ ახალი ხელისუფლება უკეთესს ააშენებდა. გლეხს არ ჰქონდა საშუალება, საკუთარი თანხით შეეძინა მინერალური სასუქები, არ შეეძლო ციტრუსის შეწამვლა, არ ჰქონდა ციტრუსის ყუთების შეძენის შესაძლებლობა... გლეხს, ფერმერს უთხრეს, რომ ციტრუსი სადაც და როგორც უნდოდა, ისე გაეყიდა, დამოუკიდებლად მოევლო ციტრუსისთვის.

**- საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ასე უხეშად არ შეიძლებოდა, სახელმწიფოს კოოპერაციის, ციტრუსკომბინატისა და, საერთოდ, დამზადების სისტემის გაუქმების შედეგებზე უნდა ეფიქრა...**

- ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რომ ფერმერმა, გლეხმა აღარ იცის, სად წაიღოს ტონობით ციტრუსი. სახლში მისი შეტანა და დაწყობა შეუძლებელია, რადგან საკმარისი ადგილი არ აქვს. წარმოიდგინეთ, რა ფართობია საჭირო 10-15 ტონა ციტრუსის დასაწყობად, დასახარისხებლად. ამას რესურსი სჭირდება. 5-10-15-20 ტონა ციტრუსის გადარჩევას რამდენი მუშა შეძლებს, რამდენ დროს წაიღებს ეს პროცესი? რამდენი ყუთია საჭირო შესაფუთად? რა თანხა დასჭირდებათ ამისთვის? მუშა გადარჩევისთვის 40-50 ლარს ითხოვს დღეში. სად იშოვოს გლეხმა ამდენი ფული და, რაც მთავარია, შემდეგ სად ჩააბაროს?! 1 კილოგრამი ციტრუსის მოყვანა-დაბინავება გლეხს 4-5 ლარი უჯდება და 40-50 თეთრად ჰყიდის, წვენების საამქრო კი 20 თეთრად იბარებს. არადა, ერთი ლიტრი სუფთა ციტრუსის წვენის ფასი საერთაშორისო ბაზარზე 50-55 ლარია. დამზადების პუნქტები უმაღლესი ხარისხის ერთ კილოგრამ ციტრუსს 60 თეთრად იბარებს, ყველაზე დაბალი ხარისხის ციტრუსიც კი არ უნდა ღირდეს ასე იაფი, რადგან, როგორც გითხარით, მისი მოწევა ათმაგად ძვირი ჯდება. დამზადების პუნქტებში ამგვარ საყვედურებზე გვპასუხობენ, რომ გლეხები ამ ფასად აბარებენ, ძალით კი არ ვართმევთო, მაგრამ არავინ ამბობს, რომ გლეხს, უბრალოდ, სხვა გზა არ რჩება. სად წაიღოს, თუ არ ჩააბარა ყველაზე უხარისხო ციტრუსის („ენესის“) ფასად „სუპერი“, გადაყაროს?! ღმერთმა დაიფაროს და, ციტრუსის ბაღებიც გაჩეხოს?! 2020 წელს გლეხების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა იმის გამო, რომ მანდარინის მოსავალი არ იყო. წელს მანდარინმა უნდა გამოისხას და გლეხებს გული უსკდებათ, რადგან არ იციან, სად წაიღონ ამდენი ციტრუსი.



**- პარადოქსია, გლეხს უხვი მოსავალი აღარ ახარებს?**

- დიახ! საბჭოთა პერიოდის „ოქროს რთველი“ ტანჯვა-წამების რთველად გადაიქცა. ასეთ მდგომარეობაშია მოსახლეობა 30 წელია. მიატოვეს საკარმიდამო ნაკვეთები, ოჯახები და საზღვარგარეთ წავიდნენ სამუშაოდ, მონებივით შრომობენ ოჯახების გადასარჩენად. რა ეშველება ჩვენს მოსახლეობას? 30 წელია, ვერ მოიძებნა გამოსავალი. ხელისუფლებამ ისე უნდა წარმართოს მუშაობა, რომ მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება გაუმჯობესდეს, შრომის პირობებიც შეექმნას და შესაბამისი ანაზღაურებაც ჰქონდეს. ხალხი ნორმალურად უნდა ცხოვრობდეს, საარსებო საშუალება ჰქონდეს. ემიგრანტები დაბრუნდნენ საკუთარ ოჯახებში.

> *„დამზადების პუნქტები უმაღლესი ხარისხის ერთ კილოგრამ ციტრუსს 60 თეთრად იბარებს, ყველაზე დაბალი ხარისხის ციტრუსიც კი არ უნდა ღირდეს ასე იაფი, რადგან, როგორც გითხარით, მისი მოწევა ათმაგად ძვირი ჯდება. დამზადების პუნქტებში ამგვარ საყვედურებზე გვპასუხობენ, რომ გლეხები ამ ფასად აბარებენ, ძალით კი არ ვართმევთო, მაგრამ არავინ ამბობს, რომ გლეხს, უბრალოდ, სხვა გზა არ რჩება*

**- თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს ამისთვის?**

- ხელისუფლებამ ააშენოს ციტრუსკომბინატი, სადაც დასაქმებული იქნება 1000-1500 ადამიანი. იგი იმუშავებს წლის განმავლობაში. გლეხები სპეცმანქანებით ტარის გარეშე დატვირთავენ მანდარინით, ჩაიტანენ კომბინატში და დამხარისხებელ ბუნკერში მოათავსებენ. გლეხი ხელზე მიიღებს ქვითარს ან თანხას, წავა სახლში და ტკბილად დაიძინებს. არც ციტრუსის სახლში შეტანა მოუწევს და არც მისი გადარჩევა. პირდაპირ პლანტაციიდან დადგენილ მტკიცე ფასებში ჩააბარებს. „სუპერი“ ტრანსპორტირდება და გაიყიდება საზღვარგარეთის ქვეყნებში, საშუალო მანდარინი შეინახება კომბინატის მაცივრებში, „ენესიდან“ დაიწურება წვენი. ციტრუსის სუფთა წვენიდან დამზადდება სხვადასხვა სასმელი, სპირტი და გაიყიდება. საშუალო მანდარინიდან მთელი წლის განმავლობაში, ახალ სეზონამდე, დამზადდება კომპოტები, მურაბები, ჯემები, შამპანური, ლიქიორი და მრავალი სხვა პროდუქცია. ციტრუსკომბინატი ჩაიბარებს არა მარტო ციტრუსს, არამედ კივის, რომელიც ასევე, მოჰყავთ ჩვენს კუთხეში, მაგრამ ვერსად აბარებენ. კივიდან გამოდის სამკურნალო წვენი. მას იყენებენ კულინარიაში, ამზადებენ კონსერვებს, კომპოტებს, ღვინოს და სხვა მრავალ ნაწარმს.

**- ალბათ კიდევ ბევრი სახეობის ხილის ჩაბარება იქნება შესაძლებელი, რითაც აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იხეირებს...**

- რა თქმა უნდა, აჭარაში ბევრი სახეობის ხილია. ჩააბარებენ კომბინატს ბუნებისგან ნაბოძებ გარეულ წყავს, მსხალს, ვაშლს, ტყემალს, მარწყვს, მოცვს, წაბლს, მაყვალს და სხვა... თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებში მოყვანილ ყველანაირ ხეხილსაც, კერძოდ: ვაშლს, მსხალს, ტყემალს, ყურძენს, ლეღვს, ატამს, წყავს, წაბლს და სხვა. ციტრუსკომბინატს ექნება ყველა სახის ხეხილის სუფთა ნატურალური წვენი, გამოუშვებს ყველა სახის ლიმონათს, სხვა სასმელებს: ღვინოს, არაყს, ლიქიორს, შამპანურს, კონიაკს, სამედიცინო და ტექნიკურ სპირტს, სხვა მრავალი დასახელების პროდუქციას. მოსახლეობაც და სახელმწიფოც მიიღებს გარკვეულ შემოსავალს. გლეხები ამოისუნთქავენ, ქვეყანა დაიბრუნებს „ოქროს რთველს“.

**- ჩვენს კუთხეში არსებული სამკურნალო მცენარეებისგანაც ასევე შეიძლება დიდი სარგებლის მიღება როგორც მოსახლეობისთვის, ისე სახელმწიფოსთვის?**

- დიახ, ჩვენ ამაზეც არაერთხელ გვისაუბრია და სიამოვნებით ვიტყვი კიდევ ერთხელ, რომ სამკურნალო მცენარეების მიღება-გასაღების ბაზის გახსნა დიდი და კარგი საქმე იქნება გლეხისთვისაც და რეგიონისთვისაც. ჩვენს ქვეყანაში 1500-ზე მეტი სამკურნალო მცენარეა, რომლებისგანაც დამზადდება წამლები. საბჭოთა პერიოდში „აჭარკოოპკავშირში“ შედიოდა აღნიშნული სამკურნალო მცენარეების მიღება-რეალიზაციის ბაზა. ყოველწლიურად მზადდებოდა დიდი რაოდენობით სამკურნალო მცენარეები, მათ შორის: ტაბელა, ხბოს შუბლი, უკვდავას ყვავილი, ხარისშუბლა, გვირილა, მოცვი, მოცვის ფოთოლი და სხვა მრავალი ერთწლიანი მცენარე. თუ ისინი ადამიანის სასარგებლოდ არ გამოიყენე, ერთ წელიწადში ლპება და ნეშომპალად იქცევა. არადა, მათი გაცვლით უცხოეთიდან შეიძლება მივიღოთ - ძვირფასი ავეჯი, სასურსათო, სამრეწველო და სამეურნეო საქონელი.. ყოველ შემთხვევაში ასე ხდებოდა ავადმოსაგონარი საბჭოეთის წლებში. შესაძლებელია უცხოეთის ქვეყნებს მივყიდოთ სამკურნალო მცენარეები. ადრე თუ დიდი მოთხოვნა იყო მათზე, ახლაც იქნება. მათ სამკურნალო თვისებები ნამდვილად არ დაუკარგავთ. აჭარკოოპკავშირი სამკურნალო მცენარეების რეალიზაციით საზღვარგარეთიდან იღებდა ზემოთ ჩამოთვლილ ძვირფას საქონელს, რომელსაც საოლქო კომიტეტი მოწინავე მუშაკებზე ანაწილებდა.

**- არ ვიცი, რას იტყვიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, თუმცა საეჭვო არ მეჩვენება, რომ ამგვარი საწარმოების გახსნა, მართლაც, სარგებელს მოუტანს აჭარის მოსახლეობას. საქმე ისაა, რა სირთულეებთან შეიძლება იყოს მათი გახსნა დაკავშირებული?**

- სხვათა შორის, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არსებობს და გამოცდილი სპეციალისტებიც გვყავს. ასე რომ, თავისუფლად შეიძლება სამკურნალო მცენარეების დამზადება და მისი რეალიზაცია, რაც, მერწმუნეთ, დიდ შემოსავალს გაუჩენს სოფლის მოსახლეობას და სახელმწიფოსაც. თუ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო განიხილავს ციტრუსკომბინატის აშენების და სამკურნალო მცენარეების დამზადება-რეალიზაციის საკითხებს და სთხოვს აჭარის მთავრობას სათანადო ღონისძიებების გატარებას, არა მგონია, რაიმე სირთულე წარმოიქმნას. ჩემი აზრით, აჭარაში ციტრუსკომბინატი უნდა აშენდეს აჭარის მთავრობის ხელშეწყობით, სოფლის მეურნეობის პროგრამით, რითაც მოსახლეობას დაუბრუნდება „ოქროს რთველი“. თუ მას უცხოელი ინვესტორი ააშენებს, ის მხოლოდ დადგენილ გადასახადებს გადაიხდის, ხოლო მილიონობით მოგება დარჩება უცხოელს და არა ჩვენს ქვეყანას. შეიძლება ციტრუსკომბინატი გადაეცეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელსაც ექნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის, მიღება-ჩაბარებისა და რეალიზაციის სამმართველო და შეწყდება მოსახლეობის ტანჯვა-წამება. აი, ესაა მთავარი ამოცანა, ამის გადაწყვეტას ელოდება ჩვენი მოსახლეობა, რაც უნდა შეასრულოს აჭარის ხელისუფლებამ.

**მარინა მითაიშვილი**

## უცხოეთი

დღეს ევროკომისია ევროკავშირის გენერალურ საქმეთა საბჭოს სხდომაზე საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის მიერ რეფორმების კუთხით მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით ზეპირ ანგარიშს წარადგენს. როგორც ცნობილია, საქართველოს მიერ წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად ევროკავშირის მიერ გაცემული 12 პრიორიტეტის შესრულებასთან დაკავშირებულ ოფიციალურ ანგარიშს ევროკომისია ოქტომბერში წარადგენს, დეკემბერში კი ევროკავშირის წევრი ქვეყნები საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

* * *

გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი ოფიციალურ პეკინს მოუწოდებს, გამოიყენოს თავისი გავლენა რუსეთზე უკრაინაში მისი შეჭრის შესაჩერებლად. „ახლა მნიშვნელოვანია, თავიდან ავიცილოთ გაყინული კონფლიქტი“, - აღნიშნა შოლცმა ბერლინში ჩინეთის პრემიერ-მინისტრ ლი ციანთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე. „მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთმა განაგრძოს აგრესორისთვის იარაღის მიუწოდებლობის პოლიტიკა“, - დასძინა გერმანიის კანცლერმა.

* * *

საფრთხე იმისა, რომ ვლადიმირ პუტინმა ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოიყენოს, რეალურია, - განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა. „დაახლოებით ორი წლის წინ ვამბობდი, რომ ვნერვიულობ მდინარე კოლორადოს დაშრობაზე, ყველა ისე მიყურებდა, თითქოს გიჟი ვიყავი. ისინი ახლაც ასე მიყურებენ, როცა ვამბობ, რომ ვნერვიულობ, რადგან პუტინმა შეიძლება, ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოიყენოს. ეს რეალურია“, - აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა.

* * *

ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა უკრაინის დახმარების ახალი - 50 მილიარდი ევროს ღირებულების პაკეტი დააანონსა. მისი თქმით, პაკეტი მოიცავს როგორც გრანტებს, ასევე სესხებს. „ვთავაზობთ ფინანსურ რეზერვს მომდევნო 4 წლისთვის 50 მილიარდი ევროს ოდენობით. ეს ფინანსური რეზერვი საშუალებას მოგვცემს ფინანსური მხარდაჭერა ადგილზე სიტუაციის ევოლუციას მოვარგოთ“, - განაცხადა ფონ დერ ლაიენმა.

* * *

ნატოს ვილნიუსის სამიტი ისტორიული იქნება მისი მიღწევების ან ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების გამო, - მიიჩნევს ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრი გაბრიელიუს ლანდსბერგისი. მისი თქმით, სურს უკრაინამ ვილნიუსში, ნატოში გაწევრიანების პერსპექტივებთან დაკავშირებით, მკაფიო სიგნალი მიიღოს. „ლიეტუვა ნატოს ერთ-ერთი წევრია და გვაქვს პოლიტიკური პოზიცია, ვიცავთ მას, ვეხმარებით უკრაინას ყველა ინსტრუმენტითა და მთელი ძალით“, - აღნიშნა ლანდსბერგისმა.

* * *

მოსკოვის ოლქის ტერიტორიაზე რამდენიმე უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოვარდა. ერთი სოფელ ლუკინოსთან, ჰაერში აფეთქდა. კიდევ ორი უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოვარდა მოსკოვის ოლქის ნარო-ფომინსკის რაიონში, სამხედრო ნაწილის მახლობლად.

**მოამზადა
ია შველიძემ**

# უცხოენოვანი ვიდეოები და მეტყველების შეფერხება – ბავშვებში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

***ბავშვობის ასაკში მეტყველების დარღვევის გამოვლინება საკმაოდ მრავალფეროვანია, შესაბამისად, იმის მიხედვით, თუ რა დარღვევასთან გვაქვს საქმე, გამომწვევი მიზეზიც განსხვავებულია***

*მეტყველება გარემოსთან დაკავშირებისთვის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. ის ბუნებრივად, ზრდასა და განვითარებასთან ერთად ვითარდება. მეტყველების დარღვევა ხშირად მცირე ასაკის ბავშვებში გვხვდება, თუმცა ეს ბავშვთა ენობრივი დარღვევებისგან განსხვავდება. ენობრივი დარღვევები გულისხმობს, როდესაც ბავშვს უჭირს: შეტყობინების ან აზრის სხვისთვის გასაგებად გადაცემა; სხვებისგან მიღებული აზრის ან შეტყობინების გააზრება.*

*თუ მეტყველების განვითარების დარღვევას ფსიქოლოგიური ხასიათი აქვს, არ ექცევა ბავშვს სათანადო ყურადღება ან არ აძლევენ საშუალებას დამოუკიდებლად ილაპარაკოს, ამ შემთხვევაში ყველაზე ეფექტური მეთოდი მეტყველებითი აქტივობის პროვოკაციაა. გარდა ამისა, ასეთ სიტუაციებში მიმართავენ პროფესიონალ ლოგოპედს. თუ მეტყველების განვითარების შეფერხება ნერვულ ხასიათს ატარებს, მაგალითად, მეტყველებითი აქტივობა არ ვითარდება რაიმე დაავადების ან ტვინის მუშაობის დარღვევის გამო, მკურნალობას ატარებს ნევროპათოლოგი.*

*როდის მივმართოთ სპეციალისტს? რას უნდა მიაქციონ ყურადღება მშობლებმა, რომ სერიოზული პრობლემა არ გამოეპაროთ? - ამ საკითხებზე სარეაბილიტაციო ცენტრ „ჯიქის“ ბავშვთა ლოგოპედი* **მაცაცო ლომთათიძე** *გვესაუბრება.*

- დავიწყოთ იმით, რომ მცირე ასაკიდანვე მშობლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვის მეტყველების განვითარებას, ხელი შეუწყონ ბგერებისა და მარცვლების წარმოთქმას. უფროსებთან ურთიერთობა ძირითადი ფაქტორია ბავშვის მეტყველებითი აქტიურობის გასავითარებლად. მეტყველების განვითარების შეფერხებისას ბავშვები სხვების ანალოგიურად სწავლობენ მეტყველებას, თუმცა დროის საზღვრები გადანაცვლებულია. მეტყველების განვითარების შეფერხება შეიძლება უარყოფითად აისახოს ბავშვის ფსიქოლოგიურ განვითარებაზე, გარდა ამისა, ზეგავლენას ახდენს გარესამყაროს აღქმაზე, აზროვნებასა და მეხსიერებაზე, ყურადღების კონცენტრირებასა და წარმოსახვით უნარებზე.

**- რა ასაკში უნდა დაიწყოს ბავშვმა ლაპარაკი?**

- პირველი სიტყვების წარმოთქმას ბავშვები იწყებენ 1 წლის ასაკიდან, 1 წლის და 6 თვის ბავშვის სიტყვათა მარაგი უნდა აღემატებოდეს 15 სიტყვას. ეს, ძირითადად, მარტივი სიტყვებია, როგორიცაა „მომე“, „ბურთი“, „კოვზი“... 2 წლის ასაკის ბავშვი უკვე უნდა ახერხებდეს ორსიტყვიანი წინადადების აწყობას „წყალი მინდა“, „მომე პური“ თუ ბავშვს 1 წლის და 6 თვის ასაკში არ აქვს აქტიურ მარაგში არცერთი სიტყვა, არ რეაგირებს სახელზე და არ ესმის ძალიან მარტივი, მოკლე ინსტრუქციები, მაგალითად, კითხვაზე „სად არის დედა?“ არ უყურებს დედას ან თხოვნაზე „მომეცი ბურთი“ მოაქვს სხვა საგანი, ასევე თუ 2 წლის ასაკში ბავშვის სიტყვათა მარაგი არის რამდენიმე სიტყვა, არ შეუძლია 2 სიტყვის გადაბმა ან მეტყველებს სხვა ადამიანებისათვის გაუგებარ „საკუთარ“ ენაზე, რომელიც ესმის მხოლოდ მშობელს, სასურველია კონსულტაცია შესაბამის სპეციალისტთან.

**- რა იწვევს მეტყველების პრობლემებს?**

- მიზეზი შეიძლება იყოს სტრესი, შეშინება, მშობლების მხრიდან ზეწოლა - „სამაგალითო“ ბავშვის აღზრდა, უმცროსი ასაკის ბავშვის სამეტყველო მასალით გადატვირთვა, თუმცა, უფრო ხშირად ეს ნევროლოგიური ბუნების მიზეზებია, კერძოდ, თავის ტვინის ორგანული დაზიანებები, გამოწვეული სამშობიარო ტრავმით, ინტოქსიკაციით ან სხვა დაავადებით.

**- როდის არის პრობლემური უცხოენოვანი ვიდეოები ბავშვებისთვის?**

- მიიჩნევა, რომ ენის, მათ შორის, უცხო ენის შესწავლისთვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი ბავშვისთვის წლინახევრიდან ცხრა წლამდე ასაკია. პატარები საკმაოდ მარტივად იმახსოვრებენ უცხოურ სიტყვებსა და ფრაზებს იმ ვიდეოებიდან და ინტერნეტ-შოუებიდან, რომლებსაც ყოველდღიურად უყურებენ მობილურებსა თუ პლანშეტებში. ასეთი პრაქტიკა საზიანო არ არის იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს მშობლიური ენა აქვს გამართული, ანუ ვითარდება ასაკის შესაბამისად და ლექსიკური მარაგიც შესაბამისი აქვს, შეუძლია აწარმოოს დიალოგი და ასე შემდეგ, იმ ბავშვებთან კი, რომელთაც გარკვეული შეფერხებები აქვთ მეტყველების განვითარებაში, სასურველია, შეიზღუდოს მსგავსი კონტენტის მოსმენა. ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რამდენად აქვს განვითარებული ბავშვს მშობლიური ენა, როგორ მეტყველებს, როგორ ესმის გამართული მეტყველება, როგორც ექსპრესიული, ისე იმპრესიული. თუ ამ მხრივ რაიმე შეფერხება არის, ეს აუცილებლად ტოვებს კვალს, აისახება ქცევაზე. საქმე ის არის, რომ, პირველ რიგში, მეტყველება ვითარდება ცოცხალი კომუნიკაციით. თუ ბავშვი ეკრანზეა დამოკიდებული და მას აქვს მეტყველების შეფერხება, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ეს ახდენს ცუდ გავლენას. შემდგომ იქმნება პრობლემები სკოლაში წერის, კითხვისა და გაგების უნარების განვითარებაში, რადგან ჯერ არ არის მშობლიური ენა განვითარებული ტიპურად, ანუ ისე, როგორც უნდა იყოს ასაკის შესაბამისად. ეკრანიდან ნასწავლი სიტყვები რჩება მხოლოდ გამომსახველობით სტიმულებად, მათ გამოყენებას ბავშვი ვერ ახერხებს ცოცხალი კომუნიკაციისას, ანუ ვერ იყენებს მიზანმიმართულად და პრობლემები იჩენს თავს.



**- რა ხდება, როცა ბავშვი ორენოვან ოჯახში იზრდება?**

- როცა მეტყველება თავდაპირველად მშობლიურ ენაზე ვითარდება, მიზანშეწონილია, მეორე ენის სწავლება 4-5 წლის ასაკიდან დავიწყოთ. ამ დროს, როცა ორი ენა ესმის ბავშვს, უფრო ბუნებრივ გარემოში სწავლობს ყველაფერს, სიტყვების მნიშვნელობას უკეთ იგებს და, შესაბამისად, იყენებს უფრო მიზანმიმართულად, ვიდრე ეკრანიდან, მულტფილმებიდან ნასწავლ უცხოურ სიტყვებს. შესაძლებელია 3-4 წლის ასაკში ტიპური განვითარების ბავშვი ფლობდეს ორ ან სამ ენას, თუ ოჯახშიც არის უცხო ენაზე მოლაპარაკე წევრი და თუნდაც ეკრანიდან ისწავლოს, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს ერთი - მშობლიური ენის განვითარებას, მას კარგად უნდა ესმოდეს მიმართვა, შეეძლოს დიალოგის გაბმა, კითხვების დასმა და სხვა.

**- კონკრეტულად როგორ გამოიხატება უცხოენოვანი ვიდეოების ზემოქმედება ბავშვის მეტყველებაზე?**

- ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ ბავშვები არიან იმ მულტფილმების გარემოში და „საუბრობენ“ ზღაპრის გმირების ხმებით, ინტონაციებით. საუბარი ბრჭყალებში იმიტომ ჩავსვი, რომ ეს არ არის რეალურად საუბარი, რადგან კომუნიკაციას კი არ ამყარებენ, უბრალოდ, თავიანთ სამყაროში არიან და იმეორებენ ამ სიტყვებს არამიზანმიმართულად. ეს რატომღაც ახარებთ მშობლებს, მაგრამ ბავშვებთან, რომელთაც მეტყველებაში გარკვეული შეფერხებები აქვთ, პრიორიტეტი უნდა იყოს ჯერ მშობლიური ენა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მეორე ენის ჩართვა.

**- როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ბავშვს მეტყველების განვითარებაში შეფერხება აქვს?**

- ეს არის კონტაქტის ნაკლებობა, როცა ბავშვი არ გვაქცევს ყურადღებას. მშობელს ხშირ შემთხვევაში ჰგონია, რომ ბავშვს არ უნდა და ამიტომ არ იხედება, მაგრამ რეალურად, ყურადღების დეფიციტი ერთ-ერთი საკმაოდ საყურადღებო მომენტია. ასევე, როცა სასურველის მოთხოვნა ხდება მითითების გარეშე, ანუ სასურველისკენ არ მიაქვს ხელი და ცდილობ შენ თვითონ გამოიცნო, რა უნდა; როცა ხმაურზე, ბგერით სიგნალებზე არ აქვს რეაგირება, სახელზე არ რეაგირებს. ეს დასაფიქრებელი მომენტებია. ადრეული ასაკი არის ყველაზე ხელსაყრელი დრო, რომ პრობლემები აღმოიფხვრას. წლინახევრის პერიოდში, როდესაც ბავშვი დედასთანაა, მას აკვირდება მშობელი და მის ყურადღებაზეა ყველაფერი დამოკიდებული. შემდეგ ამის პრევენცია ხდება საბავშვო ბაღში, სადაც უკვე არიან ფსიქოლოგები, მეტყველების თერაპევტები, სპეცპედაგოგები - ისინი ახდენენ ადრეული ასაკიდანვე პრევენციას და საჭირო შემთხვევაში, გადამისამართებას. ადრეულ დიაგნოსტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან სამეტყველო აპარატი 6 წლამდე ყალიბდება. ეს არის ოქროს პერიოდი - სამიდან 6 წლამდე. თუ ამ ასაკში მოხდა რეაბილიტირება, ჩართვა და მუშაობა ბავშვთან, ეს აუცილებლად იქნება შედეგიანი, ცხადია, თუ მხოლოდ მეტყველების დარღვევაა და არა რაიმე სხვა მენტალური პრობლემა, რაც მოითხოვს სხვა სპეციალისტების ჩარევას.

**- რა ზომებს უნდა მიმართოს მშობელმა, მეტყველების პრობლემა რომ არ გართულდეს?**

- პირველ რიგში, არ უნდა დაელოდოს, რომ პრობლემა თავისით გადაივლის. მეტყველება არის ძალიან სპეციფიკური ფსიქიკური ფუნქცია, რომელზეც შემდგომ ხდება ბევრი სხვა უნარების დაშენება. ამდენად, მეტყველების განვითარების შეფერხება გამოიწვევს ამ ფუნქციასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციების განვითარების შეფერხებასაც, მათ შორის, ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის, როგორიცაა აზროვნება. ხშირად, მშობლები არ აკავშირებენ ერთმანეთთან, მაგრამ იმ ბავშვებს, რომლებიც გვიან იწყებენ მეტყველებას, შემდგომ აღენიშნებათ პრობლემები სასკოლო ასაკში. კერძოდ, ასეთ ბავშვებს ხშირად უჭირთ წერა-კითხვის ათვისება.

**- რჩევები - ახალგაზრდა დედებს...**

- პირველ რიგში, სასურველია ბავშვის მეტყველების განვითარების სტიმულირება, რაც აუცილებლად გულისხმობს ბავშვთან პირდაპირ სოციალურ ინტერაქციას - თამაშს. მნიშვნელოვანია ჩვილობის ასაკში დედა ესაუბრებოდეს პატარას, უმღეროდეს და ეთამაშებოდეს ინტერაქციულ თამაშებს, როგორიცაა „ჭი-ტა“ და სხვა. მინიმუმ 3 წლამდე მოარიდეთ ბავშვები გაჯეტებს, ნუ ჩაანაცვლებთ ზღაპრის მოყოლას ტელეფონში ჩართული მულტფილმით. ბავშვის განვითარების საუკეთესო მეთოდია მულტისენსორული სწავლება, რაც ნიშნავს, რომ ინფორმაციას ვაწვდით სხვადასხვა შეგრძნების საშუალებით, მაგალითად, ბავშვმა აიღო ფანქარი, დედა კი უხსნის: „ეს ფანქარია, ამით ვხატავთ ფურცელზე, აი, ასე“ - აჩვენებს, აძლევს ბავშვს საშუალებას, მოსინჯოს თავად. მეტყველების სტიმულირების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ყველა მოქმედების გახმოვანება. ნებისმიერ სიტუაციაში, გარეთ იქნებით თუ შინ, გაახმოვანეთ თქვენი და თქვენი შვილის მოქმედებები. არ ესაუბროთ ბავშვს ენამოჩლექით. იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი შეცდომით ან არასწორად წარმოთქვამს რაიმე სიტყვას, მაშინვე გაიმეორეთ იგივე სიტყვა სწორად, მაგრამ არ მოსთხოვოთ ბავშვს, გაიმეოროს. ეს არის ოქროს წესი ნებისმიერი ბავშვის შემთხვევაში - არ ვეუბნებით: „გაიმეორე“. აუცილებელია პრობლემის დროული ამოცნობა და ინტერვენციის დაწყება. პირველ რიგში, უნდა გამოირიცხოს სმენის დაქვეითება. შემდგომ ეტაპზე უნდა შეფასდეს ბავშვის განვითარება და უნდა განისაზღვროს მეტყველების თუ რა სახის დარღვევასთან გვაქვს საქმე. სხვადასხვა დარღვევის შემთხვევაში, განვითარების სტიმულირება იქნება განსხვავებული. თუკი თქვენი დაკვირვებით ბავშვის მეტყველება არ შეესაბამება ასაკს, ნუ დაელოდებით წინასასკოლო პერიოდს, აუცილებელია ბავშვის მეტყველება სრულფასოვნად შეფასდეს და დაიგეგმოს მეტყველების სტიმულირების პროგრამა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში მშობლები საკმაოდ კარგად ახერხებენ, დამოუკიდებლად გაუწიონ დახმარება შვილებს შესაბამისი ინდივიდუალური სარეაბილიტაციო პროგრამის მეშვეობით. თუმცა, ძალიან გამოხატული დარღვევების შემთხვევაში, გირჩევთ, ბავშვის აბილიტაცია სპეციალისტს მიანდოთ. თუ ბავშვს აღენიშნება ენაბორძიკი, ან აღელვების მომენტში უჭირს აზრის ჩამოყალიბება, არ უთხრათ „ახლა დაწყნარდი და თავიდან დალაგებულად მითხარი, რა გინდა“, შეეცადეთ, არ გაამახვილოთ ყურადღება მეტყველების გაძნელებაზე, არ დაასრულოთ აზრი ბავშვის ნაცვლად, ნუ ჰკითხავთ: „ამის თქმა გინდოდა?“. აუღელვებლად დაელოდეთ, დაასრულოს ან გამოთქვას აზრი დამოუკიდებლად, არ მოსთხოვოთ გაიმეოროს იგივე კიდევ ერთხელ. მზად იყავით, რომ სტრესულ სიტუაციაში ან ემოციური ფონის, თუნდაც ძლიერი სიხარულის შემთხვევაში ენაბორძიკობა უფრო გამოხატული იქნება. ამ შემთხვევაში, მეტყველების თერაპევტის გარდა, ზოგჯერ ფსიქოთერაპევტის დახმარებაც არის საჭირო.

> ***„მიიჩნევა, რომ ენის, მათ შორის, უცხო ენის შესწავლისთვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი ბავშვისთვის წლინახევრიდან ცხრა წლამდე ასაკია. პატარები საკმაოდ მარტივად იმახსოვრებენ უცხოურ სიტყვებსა და ფრაზებს იმ ვიდეოებიდან და ინტერნეტ-შოუებიდან, რომლებსაც ყოველდღიურად უყურებენ მობილურებსა თუ პლანშეტებში. ასეთი პრაქტიკა საზიანო არ არის იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს მშობლიური ენა აქვს გამართული, ანუ ვითარდება ასაკის შესაბამისად და ლექსიკური მარაგიც შესაბამისი აქვს, შეუძლია აწარმოოს დიალოგი და ასე შემდეგ***

# რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ახალი პაკეტი შეთანხმებულია

ევროკავშირის ქვეყნებმა, რუსეთის მიერ უკრაინაში ფართომასშტაბიან შეჭრასთან დაკავშირებით, მის წინააღმდეგ სანქციების მე-11 პაკეტი შეათანხმეს. ის მოიცავს რუსეთის წინააღმდეგ ადრე შემოღებული შეზღუდვების თავიდან არიდების ზომებს და, ასევე, 71 პირისა და 30 ორგანიზაციის „შავ სიაში“ დამატებას. მათ შორის არიან ისინი, ვინც უკრაინელი ბავშვების უკანონო დეპორტაციაში მონაწილეობდნენ. გარდა ამისა, აიკრძალა რუსეთში რეგისტრირებული ავტოფურგონების მიერ ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთა და ასევე ნავთობის ტრანსპორტირება „დრუჟბას“ მილსადენის სამხრეთის მკლავზე.

ევროკავშირი ასევე შეშფოთებულია თავისი პროდუქციის მკვეთრი ზრდით რუსეთთან არსებულ პერიფერიებზე (სომხეთი, უზბეკეთი და ყაზახეთი), რომელიც შემდგომ კრემლის ხელში ხვდება. ახალი სანქციები გააძლიერებს საექსპორტო კონტროლს, შემოიღებენ იმ არარუსულ კომპანიებზე ზემოქმედების ახალ მექანიზმს, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან წინა სანქციებისთვის თავის არიდებაში.

„მივესალმებით ჩვენს პოლიტიკურ შეთანხმებას რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მე-11 პაკეტზე. კრემლის მხარდამჭერი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული საექსპორტო შეზღუდვები კიდევ ერთ დარტყმას მიაყენებს პუტინის სამხედრო მანქანას. ჩვენი ინსტრუმენტი სანქციებისთვის თავიდან არიდების წინააღმდეგ არ მისცემს რუსეთს ამ სიიდან საქონლის მიღების საშუალებას“, - განაცხადეს ევროკომისიაში.

**ამირან გურიელიძე**

# „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ ფრთებს შლის

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ფორმალური და არაფორმალური განათლების დონის ამაღლება და მისი ცხოვრებაში რეალიზება ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის წინაპირობაა, რისი გაცნობიერება სწორედ ახალგაზრდული ასაკიდანვეა აუცილებელი, მიზნისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული მთავარი ნაბიჯია. ასე ფიქრობენ ღირსეული ახალგაზრდები, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო კერებში წარმატებული სწავლითა და საზოგადოებრივი აქტიურობით გვამახსოვრებენ თავს*

*ერთ-ერთი მათგანი - ბსუ-ის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელი, არაერთი საგანმანათლებლო პროექტის გამარჯვებული, სტუდენტთა ახალგაზრდული ორგანიზაცია „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ დამფუძნებელი, კრეატიულობითა და მიზანსწრაფულობით, პასუხისმგებლობით, შრომისმოყვარეობით გამორჩეული სტუდენტი* **გოგა ბაშაძე** *დღეს ჩვენი სტუმარია.*

**- როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს?**

- ვფიქრობ, შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიანი ახალგაზრდა ვარ.

**- რა როლი ითამაშა სკოლამ თქვენს ჩამოყალიბებაში?**

- მიმაჩნია, რომ ახალგაზრდის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის სკოლას, რომელიც მას აძლევს საბაზისო ცოდნასა და გარკვეულ საფეხურამდე განვითარების შესაძლებლობას. ვსწავლობდი ქობულეთის სოფელ ზენითის საჯარო სკოლაში, სადაც თავისი საქმისადმი სიყვარულით აღსავსე პედაგოგები ასწავლიდნენ. სწორედ სკოლაში ვისწავლე, თუ როგორ უნდა განმეხორციელებინა მცირე პროექტები. იმ პერიოდიდან დღემდე ვცდილობ, ახალგაზრდებისთვის შევქმნა ისეთი პროექტები, რომლებიც მათ განვითარებას ხელს შეუწყობს. სკოლის პერიოდშიც კი უნივერსიტეტში ჩატარებული არაერთი საინტერესო პროექტის მონაწილე ვიყავი. ვცდილობდი, საკუთარი თავი გამომეცადა ახალ გარემოში და მუდმივად ვერთვებოდი მოსწავლეთა კონფერენციებსა თუ სხვადასხვა აქტივობაში. სკოლის მერხიდან, მართალია, „ზუმ“ პლატფორმაზე მომიწია გადასვლა, მაგრამ ეს ჩემთვის სრულებითაც არ იყო დამაბრკოლებელი, პირიქით, იმ პერიოდმა მომცა ჩემი უნარების უკეთ შეფასებისა და განვითარების შესაძლებლობა.

**- არაერთი პროექტის გამარჯვებული ხართ, რომელს გამოარჩევთ?**

- ახალგაზრდულ სამიტს, რადგან ამ პროექტის საშუალებით ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, დაეუფლონ და გაიღრმავონ ლიდერული, კრეატიული და ანალიტიკური უნარ-ჩვევები, დაეუფლონ საჯარო გამოსვლების, დებატებისა და მოლაპარაკებების ხელოვნებას, გაეცნონ სახელმწიფო ორგანოების მუშაობის პრინციპებსა და სპეციფიკას, შეიმუშაონ საკუთარი ხედვა გლობალური პრობლემების გადასაჭრელად.

**- რამდენად მნიშვნელოვანია სტუდენტობის პერიოდში საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა?**

- უნივერსიტეტში სწავლის პირველივე სემესტრში გამიჩნდა იდეა, ცოდნა აუცილებლად გამეზიარებინა თანატოლებისთვის. მეგობრებთან ერთად შევქმენი საინიციატივო ჯგუფი „ახალგაზრდები საქართველოსთვის“. პროექტი წარვადგინეთ სტუდენტთა კარიერული განვითარების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ სტუდენტური პროექტების კონკურსში. ჩვენმა შრომამ ნაყოფი გამოიღო და ახალგაზრდებმა შევძლით მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით სრულყოფილი პროექტის შექმნა, რომლის ბენეფიციარი 300-ზე მეტი ადამიანი იყო. ჩვენი ორგანიზებით არაერთი შეხვედრა გაიმართა უნივერსიტეტში. ვმონაწილეობდით შავი



ზღვის ლურჯ პოლიტიკაში. მე სამოქალაქო ჩართულობის სკოლის მონაწილე და წითელი ჯვრის მოხალისეც ვიყავი. აქვე უნდა ვთქვა, რომ აქტიურად ვთანამშრომლობთ რეგიონის ახალგაზრდული კლუბის ცენტრთან. უნივერსიტეტის გარეთ საჭადრაკო კლუბ „ნონასთან“ ერთად ჩავატარეთ ტურნირი, რომელშიც ერთიანდებოდა 60-დე მონაწილე. რამდენიმე კვირის წინ, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ეგიდითა და სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობით, ჩავატარეთ საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 100-ზე მეტი მოთამაშე მონაწილეობდა. მინდა ვთქვა, რომ პროექტებში ჩემი ჩართულობა გაცილებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი გავხდი. აღნიშნული საზოგადოება თვითონ ქმნის და ახორციელებს სტუდენტების განვითარებისა და წინსვლისთვის არაერთ პროექტს. ვფიქრობ, რომ თეორიული მასალის სწავლასთან ერთად აუცილებელია სხვადასხვა არაფორმალურ ღონისძიებასა თუ პროექტში მონაწილეობა, რადგან, ძირითადად, მოცემული პროექტების შედეგად ვიძენთ უმნიშვნელოვანეს გამოცდილებას, რომელიც გვეხმარება სამომავლო საქმიანობის სწორად დაგეგმვასა და განხორციელებაში. უნივერსიტეტი გვაძლევს მაქსიმალურ შესაძლებლობას, ჩავერთოთ სხვადასხვა საგანმანათლებლო კერაში... პირადად ვიყავი ბირთვული უსაფრთხოების საზაფხულო სკოლის მონაწილე, ჟან-მონეს კათედრის საზაფხულო კურსის წევრი. ესაა შესაძლებლობა, საკუთარი თავი გამოვცადოთ ახალ გარემოში, შევიძინოთ როგორც ცოდნა, ასევე სანაცნობო წრე.

**- თქვენ სახელმწიფო სტიპენდია მოიპოვეთ, რაც ძალიან საამაყოა...**

- დიახ, მე ვარ როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალიტეტის სტიპენდიატი. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია მაქსიმალურად მეტი გამოცდილებისა და ცოდნის მიღება. ამ პროცესში სტიპენდიატიც გავხდი, მაგრამ მთავარი მიზანი განათლებაა.

**- ახლახან დასრულდა ბსუ-ში უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, როგორც ვიცი, აქტიურად მონაწილეობდით...**

- 6-7 ივნისს უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო კონფერენცია ჩატარდა, რომელშიც დაახლოებით, 500-მდე სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი მონაწილეობდა. ჩემი, როგორც სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელის მოვალეობა იყო მოცემული ღონისძიების ორგანიზება. კონფერენციის ორგანიზების პროცესში ჩართული იყო უნივერსიტეტის არა მხოლოდ ერთი კლუბი, არამედ რამდენიმე და ზოგადად, უნივერსიტეტი გამოირჩევა აქტიური ახალგაზრდებით, მათ შორის აღსანიშნავია ფოტო-ვიდეოხელოვანთა კლუბი, დებატ-კლუბი და ასე შემდეგ. თითოეული გამორჩეულია შრომისმოყვარე ახალგაზრდებით, რომლებიც მუდმივად ჩართულნი არიან სხვადასხვა საუნივერსიტეტო პროექტსა თუ აქტივობაში. აქვე უნდა აღინიშნოს სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის როლი, რადგან, ვფიქრობ, რომ არა მათი მხარდაჭერა, ვერ შევძლებდით მსგავსი ღონისძიებების სრულყოფილად ორგანიზებას.

**- სტუდენტური ორგანიზაცია „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ ერთი წელია, დააარსეთ. რა აქტივობები განახორციელეთ ამ პერიოდში?**

- განვახორციელეთ საკმაოდ მასშტაბური პროექტები და მათგან გამოვარჩევდი ახალგაზრდულ სამიტ-2022-ს, რომელშიც 200-მდე სტუდენტი მონაწილეობდა, ასევე ჭადრაკის ტურნირს, გარემოსდაცვით ახალგაზრდულ სამიტ-2023-ს, რომელმაც მოიცვა არა მხოლოდ ბათუმი, არამედ მთელი აჭარა და მასში ასობით სკოლის მოსწავლე იყო ჩართული, ფინალურ სამიტს კი უნივერსიტეტში ვმასპინძლობდით.

**- თქვენს გუნდს ახალი წევრები შემოუერთდნენ. ვინ არიან ისინი და ამ მხრივ რას გეგმავთ?**

- დიახ, ჩვენს საინიციატივო გუნდს პასუხისმგებლობით აღსავსე ათობით ახალგაზრდა შემოუერთდა. ძირითადად, ისინი ბსუ-ის სტუდენტები არიან, რომლებიც მუდმივად მონაწილეობენ სხვადასხვა საუნივერსიტეტო აქტივობაში. სწორედ ამ ახალგაზრდების დამსახურებაა, რომ გარემოსდაცვითი ახალგაზრდული სამიტი ჩავატარეთ, თანაც წარმატებით! თითოეული ახალგაზრდა გამორჩეულია და ჩვენ ერთად ვქმნით გუნდს, რომლისთვისაც, ვფიქრობ, საკმაოდ მარტივია სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობის ორგანიზება.

**- ყველაზე მეტად ახალგაზრდებს ამჟამად რა აწუხებთ, რა უნდა გაკეთდეს მათი ყოფის გასაუმჯობესებლად?**

- თანამედროვე რეალობაში ახალგაზრდებს ყველაზე მეტად აკლია არაფორმალური განათლების კერები, რომლებიც მხოლოდ ერთი კონკრეტული მიმართულებით შემოიფარგლება, ვფიქრობ, საჭიროა კუთხე, სადაც შესაძლებელი იქნება, განხორციელდეს საგანმანათლებლო, გასართობი, სპორტული და შემეცნებითი ხასიათის აქტივობები, რაც საკმაოდ რთულია, რადგან თითოეული აქტივობის განსახორციელებლად საკმაოდ დიდი, როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური რესურსია საჭირო. მნიშვნელოვანია მოხალისეობრივი საქმიანობაც, რომელიც არ არის საკმარისად დაფასებული საქართველოში. უცხოურ პრაქტიკას თუ გადავავლებთ თვალს, მოხალისეობა პირველ ადგილას დგას ახალგაზრდების აქტივობაში და რიგ შემთხვევებში უცხოურ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის საჭიროა იმის დამადასტურებელი ცნობა, რომ ის უსასყიდლოდ, მოხალისეობრივად ეწეოდა კეთილ საქმეს. ვფიქრობ, მოხალისეობრივი საქმიანობა ახალგაზრდებს აძლევს განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობას.

**- გილოცავთ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელად არჩევას. რა შედის თქვენს მოვალეობაში?**

- გმადლობთ. სულ რამდენიმე თვეა, რაც ამირჩიეს. ჩემს მოვალეობაში შედის საზოგადოებრივი პროექტების შედგენა, მათი განხორციელება და ორგანიზება. ჩვენმა შესანიშნავმა გუნდმა შეძლო არაერთი ახალგაზრდული პროექტის განხორციელება, მათ შორის გამოვარჩევდი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც საკმაოდ მასშტაბურია და გარემოსდაცვით ახალგაზრდულ სამიტს.

**- რატომ აირჩიეთ საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი და რა მიზნებს ისახავთ?**

- სკოლის პერიოდის ბოლო წლებში გადავწყვიტე, რომ დავუფლებოდი საერთაშორისო ურთიერთობებს, რაც რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. პირველ რიგში, პოლიტიკა შედის ჩემი ინტერესების სფეროში, მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენს რეალობაში საკმაოდ რთულია ისეთი სასწავლებლის პოვნა, რომელიც დახვეწავს სტუდენტის ტექნოლოგიურ უნარ-ჩვევებს. მართალია, ამჟამად პოლიტიკური მეცნიერების განხრით ვსწავლობ, მაგრამ ჩემი უმთავრესი მიზანია, შევქმნა ისეთი საგანმანათლებლო კერა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდას განვითარებასა და სანუკვარი ოცნებების ასრულებაში. საზოგადოებრივი მეცნიერებებითა და პოლიტიკით დაინტერესებულ ახალგაზრდებს ვურჩევ ჩვენს უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტზე ჩაბარებას, ნუ ჩაიკეტებიან მხოლოდ ერთ სივრცეში. მართალია, მნიშვნელოვანია კონკრეტული სპეციალობა, მაგრამ ვუსურვებ, მუდმივად ჩაერთონ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტსა და აქტივობაში, გაიმრავალფეროვნონ გამოცდილება.

**- თვისება, რომელიც ყველაზე მეტად გახასიათებთ...**

- ძირითადად, სამ მნიშვნელოვან თვისებას გამოვარჩევდი: შრომისმოყვარეობას, პასუხისმგებლობას და ერთგულებას.

**- თქვენ და თავისუფალი დრო... პირადი სივრცე რას ნიშნავს თქვენთვის?**

- თავისუფალ დროს, ძირითადად, სტუდენტური პროექტების შექმნა-ორგანიზებას ვუთმობ. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებისა და საინიციატივო ჯგუფ „ახალგაზრდები საქართველოსთვის“ ხელმძღვანელობის გარდა, ვარ სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტაჟიორი, სადაც ყოველდღიურად ათობით სტუდენტს ვუწევ კონსულტაციას, ვაორგანიზებ სხვადასხვა შეხვედრას. ეს საკმაოდ შრომატევადი და რთული საქმეა, მაგრამ ჩემთვის სტუდენტების დახმარება და მათი კმაყოფილება ერთგვარი მოტივატორია. დღის ბოლოს ვცდილობ, მოვამზადო შემდეგი დღის სალექციო მასალები, მოვემზადო სემინარისთვის და კიდევ - გიტარაზე ვუკრავ, მეგობრებს ვესაუბრები და ფილმებს ვუყურებ.

> ჩვენს რეალობაში საკმაოდ რთულია ისეთი სასწავლებლის პოვნა, რომელიც დახვეწავს სტუდენტის ტექნოლოგიურ უნარ-ჩვევებს. მართალია, ამჟამად პოლიტიკური მეცნიერების განხრით ვსწავლობ, მაგრამ ჩემი უმთავრესი მიზანია, შევქმნა ისეთი საგანმანათლებლო კერა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდას განვითარებასა და სანუკვარი ოცნებების ასრულებაში

**- დაბოლოს, როცა ადამიანი კითხვას წყვეტს, აზროვნებასაც წყვეტსო, ნათქვამია. ამ აზრს როგორ განავრცობდით? თქვენი საყვარელი წიგნი?**

- წიგნი არის საუკეთესო საშუალება, რომ იმოგზაურო განსხვავებულ სამყაროში და ჩამოგიყალიბდეს გარკვეული მოსაზრება სხვადასხვა თემის მიმართ, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია განვითარებისთვის. დენი დიდროს საპირწონედ მიმაჩნია ჩვენი გენიალური ქართველის, ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი!“. მართალია, ცოდნა მნიშვნელოვანია და განათლებული ადამიანი ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისთვის აუცილებელი პირობაა, მაგრამ თუ ფორმალური განათლება არაფორმალურ განათლებასთან არ არის შერწყმული, საკმაოდ რთულია სასურველი შედეგის მიღწევა.

## რუსი ტურისტები თუ... დასავლელი მოგზაურები?



„ეს არ არის დადებითი მესიჯი იმ მოგზაურებისთვის, რომელთა რიცხვსაც ნელ-ნელა ვზრდით და ხარისხიანი ტურისტები დავარქვით“, - განაცხადა „რესტორატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე შოთა ბურჯანაძემ რადიო „პალიტრისა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ რუსეთთან ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით.

მისი თქმით, პირდაპირი ფრენების შესახებ ანონსი არა მარტო უშუალოდ საქართველომ მიიღო, არამედ მიიღო დასავლეთმაც და ქვეყანაში, სადაც ბევრი რუსი ტურისტის მოლოდინი არსებობს, ეს შეიძლება ცუდი გავლენა იყოს დასავლელ მოგზაურებზე, რომლებსაც საქართველოში ჩამოსვლის სურვილი აქვთ. აქ ბევრი რუსი ტურისტის ჩამოსვლის შესაძლებლობა არ არის დადებითი მესიჯი იმ მოგზაურებისთვის, რომელთა რიცხვსაც ნელ-ნელა ვზრდით და ხარისხიანი ტურისტები დავარქვით. ეს გარკვეული მუხრუჭიც კი შეიძლება იყოს ბევრი ადამიანის გადაწყვეტილების მიღებისას.

„რა მოლოდინიც არსებობდა, რომ რუსი ტურისტები ჩამოვიდოდნენ და თვითმფრინავს ვერ ვნახავდით ცარიელს, ეს იმედები გაცრუვდა. ალბათ, მათთვისაც საქართველო არ არის საინტერესო იმ კუთხით, რომ მთავარი მისაღები პირობები არ არის და ჩვენ არ ვართ მეგობარი ქვეყანა რუსეთისთვის, მაგრამ მე უფრო დიდი ეჭვი მაქვს, რომ საქართველო პლაცდარმად არ იქნას გამოყენებული სხვა ქვეყნებში გადასაფრენად. ეს არ მინდა, რომ მოხდეს, თუმცა, დღეს არც ასე ჩანს, რადგან თვითმფრინავები არ დაფრინავს სავსე“,- განაცხადა შოთა ბურჯანაძემ.

ამირან გურიელიძე

# ფურტიოელებს მალე რაგბის სტადიონი ექნებათ

*3 თვეზე მეტია შუახევში ახალი ა(ა)იპ «რაგბის განვითარების სკოლა» მოქმედებს, რომელსაც სათავეში ფურტიოელი რამაზ მახარაძე უდგას. იგი ჩვენი სტუმარია.*

**- ბატონო რამაზ, რა გარემოებებმა განაპირობა ამ სკოლის შექმნა?**

- ჯერ კიდევ 20-25 წლის წინათ, შუახევში ბევრი არაფერი იცოდნენ რაგბის შესახებ. ჩემი თაობის ფურტიოელები ქუთაისიდან მოვლინებული, ყველასათვის პატივსაცემი პიროვნების რამაზ სვანაძის ხელდასმით, სპორტის ამ სახეობის საიდუმლოებებს პირველად ვეზიარეთ. ამაგს ვერც ჩემს თანასოფლელ ზაურ ხიმშიაშვილს, შუახევის რაიონის მაშინდელ გამგებელს ტარიელ ნიჟარაძეს დავუკარგავთ. რამაზ სვანაძეს მთელი სოფელი გვერდით ედგა. ქუთაისელი სპეციალისტის ნდობა, სპორტის ამ სახეობით დაინტერესება ისე დიდი იყო, რომ მშობლებმა ჭაბუკებთან ერთად, გოგონებიც რაგბზე შეიყვანეს. რამაზმა თავისი საქმე გააკეთა, მერე ჯანმრთელობამ ხელი აღარ შეუწყო და დიდი საქმე ადგილობრივ რუსლან ბერიძეს ჩააბარა. რაგბით დაინტერესება არც მომდევნო წლებში განელებულა. ამის დასტური იყო შუახევში რაგბის ფესტივალების, სხვა შეჯიბრებების გამართვა. ფურტიოში შესაბამისი არენა რომ არ გვქონდა, შუახევის ფეხბურთის სტადიონს ვიყენებდით. ქვეყნის ახლანდელი ხელმძღვანელობა რაგბის განვითარებას ხელს რომ უწყობს, ამის დასტურია ქვეყნის მასშტაბით რაგბის სტადიონის მშენებლობა, სპორტული კომპლექსების მოწყობა.

**- ამ მხრივ, ფურტიოში რა კეთდება?**

- ფურტიო ის დასახლებაა, სადაც მალე თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი რაგბის სტადიონი და სხვა ინფრასტრუქტურა იქნება. სამუშაოები ჯერ კიდევ 2012 წლიდან დაიწყო. თავის დროზე რიგი სამუშაოების ნაჩქარევად შესრულებამ, საშუალება არ მოგვცა, რომ ნორმალური სპორტული არენა გვქონოდა. ბუნებრივი საფარი მინიმუმამდეც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. უფრო მეტიც, იქ თამაშის დროს შესაძლებელია სპორტსმენმა მძიმე ტრავმა მიიღოს. ისიც ცხადია, რომ ადგილობრივ ბიუჯეტს არ შეუძლია თანხების გამოძებნა არენის კეთილმოსაწყობად. საქმე ადგილიდან მაშინ დაიძრა, როცა ფურტიოში საქართველოს რაგბის ფედერაციის თავმჯდომარე, პარლამენტარი დავით კაჭარავა, აჭარის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი ილია ვერძაძე და სხვა პასუხისმგებელი პირები ჩამოვიდნენ. ისინი შეგვპირდნენ, რომ არენის კეთილმოსაწყობად მნიშვნელოვანი თანხები გამოიყოფოდა. უკვე ველოდებით კონკურსის გამოცხადებას.

**- შუახევში ფეხბურთი და რაგბი ერთ სამსახურს ექვემდებარებოდა. მათი გაყოფის მთავარი მიზანი რა არის?**

- პირველ რიგში, რაგბის განვითარების ხელშეწყობა. ახალი სამსახური ფურტიოს, ბუთურაულისა და გომარდულის სოფლების ჭაბუკების ბაზაზე შეიქმნა. იგი 16 თანამშრომელს ითვლის. მწვრთნელების კახა ბერიძის, ზაურ ხიმშიაშვილისა და ავთანდილ მიქელაძის ხელშეწყობით, დღეს 45 ჭაბუკი ვარჯიშობს.



**- არცერთ სოფელში, ჯერჯერობით, რაგბის სპორტული არენა რომ არ გაქვთ?**

- საამისოდ ხასხასა მდელოს გამოძებნა პრობლემა არაა. რაგბი ტექნიკური, მაგრამ ძალისმიერი სპორტიცაა. ჩვენ ფიზიკურად ძლიერი რესურსი გვაქვს. სწორედ ამ რესურსზე ამყარებენ დიდ იმედს რაგბის ცნობილი სპეციალისტები. რამაზ სვანაძის საქმიანობის წლებში ორი ფურტიოელი ჭაბუკი აჭარის ნაკრებშიც იყო მიწვეული. სულ მალე დადგება ის დროც, როცა ნორმალური ბაზა ფურტიოშიც გვექნება და ვარჯიშებსა და ასპარეზობებს იმ არენაზე გავმართავთ.

**- ახალი სამსახური საწყის ეტაპზე რითაა დაკავებული?**

- ადგილობრივი ბიუჯეტის სიმცირეზე უკვე მივანიშნე. ჩვენდა საბედნიეროდ, დიდი თანადგომა გვაქვს საქართველოს და აჭარის რაგბის ფედერაციების ხელმძღვანელობისგან. წელს შეჯიბრებები გავმართეთ ქუთაისის, ფოთის, ქობულეთის, ჩაქვის 12 წლამდე ჭაბუკების გუნდებთან. 25 ივნისს სენაკში ვაპირებთ გასვლითი თამაშის ჩატარებას. მწვრთნელები, ნორჩი მორაგბეები კმაყოფილნი არიან იმ ყურადღებითა და თანადგომით, რაც გასვლების დროს გვაქვს, ოთხჯერადი კვება, ნორმალური სასტუმრო, ტრანსპორტით უზრუნველყოფა დიდი მოტივაციაა. საქმე შედეგით იზომება. აქამდე გამართული ოთხი თამაშიდან ყველა ჩვენთვის სასურველი შედეგით დავამთავრეთ. იმედია, სენაკშიც გავიმარჯვებთ.

**- საზოგადოებას, რაგბის მოყვარულებს ის დროც კარგად ახსოვთ, როცა შუახევში ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით რაგბის ფესტივალები იმართებოდა...**

- ჩვენ 7 და 9-კაციანი გუნდების ჩამოყალიბებაზე ვართ ორიენტირებულნი. როგორც კი მორაგბეებს შუახევის ფეხბურთის სტადიონზე თამაშის უფლება გვექნება, ფესტივალიც გაიმართება - ამ ეტაპზე სტადიონზე რიგი სამუშაოები მიმდინარეობს. შემდგომში კი ყველა სპორტულ ღონისძიებას ფურტიოში ვუმასპინძლებთ. მშვიდი გარემო, კარგი ბუნება და ჰაერი ბევრ გუნდს დააინტერესებს, რომ საწვრთნელი შეკრებები ჩვენთან გამართოს. როცა ნორჩი სპორტსმენები მათ ვარჯიშებს, მოძრაობებს ნახავენ, მოტივაციაც გაიზრდება. ის თანხები, სხვა რესურსი, რომელიც ამ ეტაპზე შუახევში რაგბის განვითარებას ხმარდება, სამომავლოდ, დადებით შედეგებზეა ორიენტირებული.

**- სხვა სოფლებშიც რომ გამოჩნდნენ რაგბის მიმდევრები?**

- იმ სოფლებშიც ვიმუშავებთ. მწვრთნელებზე ბევრია დამოკიდებული. არ გამოვრიცხავთ სპეციალისტების მოწვევას, სემინარების გამართვას. ეს ინიციატივა ფედერაციების ხელმძღვანელობისგანაც მოდის.

**- ადგილზეც ხომ გჭირდებათ ხელშეწყობა?**

- «რაგბის განვითარების სკოლის» შექმნა ამის დასტურია. თავად სიტყვა სკოლა მიგვანიშნებს, რომ ჯერ ჩვენ უნდა ვისწავლოთ და შემდეგ სხვებს ვასწავლოთ.

## სტუმარი

# „ვამაყობ ჩემი კურსდამთავრებულებით, რომლებიც ძალიან წარმატებულები არიან“

*ჩვენი სტუმარია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის საპატიო მედლის მფლობელი, 7 სამაგისტრო და 3 სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი ნატალია სურგულაძე.*



**- ქალბატონო ნატალია, რამ განაპირობა თქვენი ჰუმანიტარული სპეციალობით, კერძოდ, ფრანგული ფილოლოგიით დაინტერესება?**

- დავამთავრე ბათუმის მე-2 საჯარო სკოლა 1979 წელს. სკოლაში ფრანგულ ენას ვსწავლობდი. ხოლო არჩევანი, გავმხდარიყავი ამ ენის მასწავლებელი, ქალბატონ ციალა ცინცაბაძის პიროვნებამ განაპირობა, რომელიც ფრანგულს მასწავლიდა. ის იყო ნამდვილი პედაგოგი, პროფესიონალი, საოცრად გაწონასწორებული და განათლებული ქალბატონი. წლების გადასახედიდან, კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი.

**- ფრანგებს მრავალი, საერთაშორისო მნიშვნელობის მწერალი ჰყავთ, მათგან ვის გამოარჩევთ?**

- საფრანგეთი ერთ-ერთი ძალზედ განვითარებული, დემოკრატიული და მაღალი ცივილიზაციის ქვეყანაა, მდიდარი თავისი კულტურით, მეცნიერული მიღწევებით. რაც შეეხება დიდებულ ფრანგ მწერლებს, მათგან ჩემი რჩეულები არიან: ბალზაკი, პრუსტი, ფრანსუაზ საგანი, სარტრი, რომენ გარი.

**- სადისერტაციო თემად „ზოონიმებით შედგენილი ფრანგული და ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების შეპირისპირებითი კვლევა“ აირჩიეთ. რას იტყვით ამ ორი ენის ურთიერთობებზე?**

- ფრანგული და ქართული არამონათესავე ენებია, პირველი ანალიტიკური ენაა, ხოლო მეორე - სინთეზური, მათი სტრუქტურული თანხვედრა იშვიათია. ამიტომ ჩემი არჩევანი შეჩერდა ამ ორი ენის ფრაზეოლოგიის სემანტიკურ პლანში შეპირისპირებაზე, მათ შორის, მსგავსებებისა და განსხვავებების დადგენაზე, რაც მოხერხდა კიდეც. თუმცა ამ სფეროს კვლევას კვლავაც ვაგრძელებ, ვინაიდან ძალზედ საინტერესო და მიმზიდველია ენათმეცნიერისთვის.

**- ახლა თქვენი სამეცნიერო ინტერესების სფერო საკმაოდ ფართოა: ლინგვისტიკა, რომანული ფილოლოგია, სოციო და ფსიქოლინგვისტიკა, ფრაზეოლოგია და პარემიოლოგია, ენათა ტოპოლოგია, რეკლამის დისკურსი, ლინგვოკულტუროლოგია. რომელს უთმობთ მეტ დროს და რას ურჩევთ ფრანგული ენის შესწავლითა და ამ ქვეყანასთან ურთიერთობით დაინტერესებულ პირებს?**

- სამწუხაროდ, ფრანგულ ენას, როგორც პროფესიას, ბევრი არ ირჩევს. მინდა ვურჩიო ახალგაზრდობას, ისწავლონ ეს ენა, ვინაიდან ფრანგული 40 ქვეყანაში ოფიციალური ან მეორე სახელმწიფო ენაა, ასევე, ევროპული ინსტიტუციების მთავარი ენა. აღსანიშნია, რომ მხოლოდ ჩვენს რეგიონში, აჭარაში მცხოვრებ ფრანკოფონ კურსდამთავრებულს ეძლევა საშუალება, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ევროპის რეგიონთა ასამბლეის პროექტში მონაწილეობის შემდეგ, დასაქმდეს ფრანგულენოვან ქვეყნებში: საფრანგეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში, რაც ხელს შეუწყობს მათ, მიიღონ ევროპული გამოცდილება და განიმტკიცონ ლინგვისტური დონე. სხვა საერთაშორისო პროგრამებიც, რომელიც მრავლადაა ჩვენს უნივერსიტეტში, საშუალებას აძლევს სტუდენტებს, გაემგზავრონ ევროპულ უნივერსიტეტებში და ისწავლონ ერთი ან ორი სემესტრი.

**- ფრანგული ენისა და ლიტერატურის გამორჩეული სპეციალისტი, მთარგმნელობით საქმიანობას თუ ეწევით?**

- დიახ, ამას გვერდს ვერ ავუვლი, პერიოდულად მიწევს სხვადასხვა ტიპის ტექსტების თარგმნა. ვთარგმნე გი დე მოპასანის რამდენიმე ნოველა, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ჭოროხში“. ასევე, კოლეგების შემოთავაზებით ან თხოვნით, ნათარგმნი მაქვს ისტორიული თუ საარქივო მასალები, სტატიები, რაც ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის.

**- რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და ევროპეისტიკის დეპარტამენტის პროფესორი, უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობთ კოლეგებსა და სტუდენტებში, რა არის ამის საიდუმლო?**

- ეს მათ უნდა ჰკითხოთ. ჩემი 30-წლიანი პედაგოგიური მუშაობის განმავლობაში, ყოველთვის ვცდილობდი, ვყოფილიყავი საინტერესო პედაგოგი, მიმეცა სტუდენტისთვის მაქსიმალური ცოდნა იმ თემებზე, რასაც ვასწავლიდი... რთულია საკუთარ თავზე საუბარი.

**- ოჯახურ ადათ-წესებში რა განსხვავება აქვთ ფრანგებსა და ქართველებს?**

- რასაკვირველია, ჩვენგან განსხვავებულია მათი ყოფა-ცხოვრება, მენტალიტეტი. ჩვენ უფრო ოჯახური ტრადიციების დამცველი ქვეყანა ვართ. მაგალითად, როცა რამდენიმე თაობა ერთ სახლში ცხოვრობს, ფრანგებთან ასე არ არის, თითოეული მათგანი დამოუკიდებლად, ცალკე ცხოვრობს, ამიტომ ნათესავებს შორის ახლო ურთიერთობები ნაკლებადაა, ჩვენგან განსხვავებით.

**- 23 ივნისს 60 წელი გისრულდებათ. ეს ადამიანის ცხოვრებაში ცოტა არაა, თუმცა არც ბევრია. რამ დატოვა თქვენს ცხოვრებაში დიდი კვალი?**

- არც კი მჯერა, რომ ამდენი წლის ვარ. ვამაყობ იმით, რაც შევქმენი, ჩემი ოჯახით, ჩემი კურსდამთავრებულებით, რომლებიც ძალიან წარმატებულები არიან, ზოგი საქართველოში, ზოგიც - საზღვარგარეთ. ვფიქრობ, ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა შენი სტუდენტი გამოჩენილი ან წარმატებული პიროვნება ხდება. ეს არის სწორედ ჩემი შრომის ნაყოფი.

**- 4 ენას ფლობთ, მათგან უპირატესობას რომელს ანიჭებთ?**

- მშობლიური ენა ჩემთვის ყველაფერია, თუმცა საყვარელი ენა ფრანგულია, რომელიც ერთ-ერთი ულამაზესი ენაა მსოფლიოში.

**- 40-მდე პუბლიკაციის, დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი ხართ. ახლა რაზე მუშაობთ?**

- სამუშაოს რა დაულევს პედაგოგს, მეც ვაგრძელებ პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას სტატიების, სახელმძღვანელოების თუ რიდერების მომზადების სახით. ნებისმიერი პედაგოგისთვის თუ პროფესიონალისთვის აუცილებელია თვითგანვითარება.

**- ფრაზეოლოგიის ევროპის საერთაშორისო ორგანიზაცია „ევროფრას“ წევრი ხართ...**

- ეს ორგანიზაცია ყოველწლიურად აწყობს საერთაშორისო კონფერენციებსა თუ კონგრესებს სხვადასხვა ქვეყანაში. ეს საშუალებას გვაძლევს მის წევრებს, მონაწილეობა მივიღოთ იმ ღონისძიებებში, რომლებზეც ვხვდებით ჩვენი დარგის სპეციალისტებს, გამოჩენილ, მსოფლიო დონის ლინგვისტებს და ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებებს. ამ კავშირებს ვიყენებთ და მათ ვიწვევთ სადოქტორო დისერტაციების ექსპერტებად, რაც ფრიად მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი უნივერსიტეტისთვის, ისე ჩვენი დოქტორანტებისთვის.

**- ოჯახზე რას გვეტყვით?**

- ვთვლი, რომ ბედნიერი ქალი ვარ, მყავს მეუღლე და ორი შვილი. მეუღლე - ლევან სურგულაძე, სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსია, ამჟამად საპატრიარქოს ბათუმის ბავშვთა პანსიონში მასწავლებელია. ვაჟი - მიხეილ სურგულაძე, საინფორმაციო ტექნოლოგიების პროექტ-მენეჯერია. ქალიშვილი - მარიამ სურგულაძე პროფესიით ექიმია, ქართულ-ამერიკულ კლინიკაში ექიმის ასისტენტია.

**- ყველაზე მეტად რომელი საგრანტო პროექტი წაადგა თქვენს მეცნიერულ საქმიანობას?**

- ყველა პროექტზე მუშაობა მეცნიერს გარკვეულ გამოცდილებას სძენს, თუმცა რუსთაველის ფონდის ეროვნულ პროქტზე მუშაობამ უდიდესი გამოცდილება მომცა, ასევე ერაზმუს მუნდუსის პროექტში მონაწილეობამ.

**- სასიამოვნო მოსაგონარი...**

- საფრანგეთის სამხრეთში პროფესიულ სტაჟირებაზე ვიყავი და სადოქტორო თემის ირგვლივ მასალების მოსაგროვებლად ბიბლიოთეკას ვეძებდი. ერთ ქალბატონს ვთხოვე, მიესწავლებინა. მან მიმიყვანა ბიბლიოთეკაში, ამიხსნა, როგორ მომეძებნა მასალები და ბიბლიოთეკის თანამშრომელს დაავალა, მომსახურებოდა. ძალზე სასიამოვნო მოსაგონარია ჩემთვის, სრულიად უცნობი ქალბატონი რომ ასეთი პატივისცემით მომექცა.

**- გურული იუმორის გარეშე წარმოუდგენელია...**

- საერთოდ, იუმორი კომუნიკაციებისას იბადება. ამ გრძნობის ნაკლებობას არ ვუჩივი. გურული ვარ დედით, ქმრით, შვილებით, რძლებით და... რა მომკლავს, ასწლიანი ვარ, ალბათ.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# პოეზიის მოყვარულთა პაემანი შედგა...

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*ბათუმური „იტალიური ეზო“ პოეზიის სურნელით აივსო, როცა აქ პოეტები და მათი პოეზიის მკითხველები შეიკრიბნენ - ბათუმური ყავა, ლუდი, წითელი ღვინო, კიბეებზე ჩამომსხდარი გოგო-ბიჭები, იქვე ხვიჩა კვარაცხელიას - წარმატებისა და გამარჯვების სიმბოლოს სარეცხის თოკზე გაკიდული მაისური... ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს, რა ძალა აქვთ სიყვარულით გაერთიანებულ ადამიანებს*

- უკეთესი ხვალინდელი დღის მოლოდინია ყველა მსგავსი შეხვედრა. გამარჯვების, გამთლიანების იმედია, ჩვენს ქაოსურ ყოველდღიურობაში სწორედ ასეთი საღამოებია გამონათებები, რომლებსაც შეგიძლია ემოციებით აჰყვე, დაივიწყო ყოფითი პრობლემები და დაუვიწყარი შთაბეჭდილებები მიიღო, - გვითხრა საღამოზე მოსულმა რიმა ცეცხლაძემ და დასძინა, რომ პოეზია როგორც მისთვის, ასევე მისი მეგობრებისთვის ყოველთვის იყო კითხვებზე პასუხების პოვნის ყველაზე კარგი საშუალება.

„კრება“ - ასე ჰქვია ახლახან დაარსებულ ორგანიზაციას, რომელსაც საფუძველი ახალგაზრდა ბათუმელმა საბა ოკუჯავამ ჩაუყარა და პირველი პაემანი საკუთარ ეზოში პოეზიის მოყვარულებს დაუნიშნა. როგორც გვითხრა, „კრება“ ხშირად უმასპინძლებს იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით, შემოქმედებით ჩვენს ქალაქში და, ზოგადად, ქვეყანაში ჯანსაღ, ხელოვნებით გამდიდრებულ გარემოს ქმნიან, ადამიანებს, რომლებიც მკაფიოდ ამბობენ არა მარტო თავიანთ, არამედ საზოგადოების სათქმელს.

სიმბოლურია, რომ ბათუმურ საღამოზე, რომელიც „სოხუმელი ბათუმელის“ რეზო ოკუჯავას ეზოში გაიმართა, ბათუმელ პოეტებთან ერთად სტუმრად ყველასათვის საყვარელი სოხუმელი პოეტი თემურ ელიავა იმყოფებოდა. იგი ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით ეფერება ბათუმს და ბათუმელებს.

საღამოს მონაწილე პოეტებმა შეკრებილ საზოგადოებრიობას, პოეზიის მოყვარულებს საკუთარი შემოქმედება გაუზიარეს და კიდევ ერთხელ გააჟღერეს მთავარი გზავნილი, რომ ძალა ერთობაშია, სიყვარულშია, რომელიც ყველა დაბრკოლებას გადაგვალახინებს, შეგვაძლებინებს ჩვენს აფხაზ ძმებთან და დებთან გაერთიანებას, გამთლიანებას.

საღამოსთან დაკავშირებით თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა ყველასთვის საყვარელმა პოეტმა გენრი დოლიძემ.

- ბათუმი დგას ძალიან სერიოზული გამოწვევის წინაშე - პატარა, მყუდრო და ტრადიციული ქალაქიდან ნელ-ნელა გადავდივართ მეგაპოლისის ცხოვრების რიტმში და ამ ყველაფერს გარკვეული უარყოფითი შედეგებიც ახლავს, რადგან ცხოვრების დაჩქარებული რიტმი ადამიანებს გვაშორებს, გვათითოკაცებს, მსგავსი ტიპის საღამოები კი ინარჩუნებს ქალაქურ ატმოსფეროს, იმ ტრადიციას, რაც ბათუმს ჰქონდა დაარსების დღიდან, დღემდე. არასოდეს მოჰკლებია ამ ქალაქს ლიტერატურა, ლექსი, ხელოვნება, თუნდაც იტალიურ ეზოებში, სკვერებში იმიტომ, რომ ესაა ზუსტად ის ფორმატი, რომელიც ყველაზე ახლოსაა მკითხველთან, მაყურებელთან. დღევანდელმა საღამომ დაადასტურა, რომ მართლა მოწყურებულია ბათუმური აუდიტორია მსგავსი ტიპის ღონისძიებებს და იგრძნობოდა იმ ემოციებში, ყურადღებაში, რაც ჩვენს მიმართ გამოიჩინეს. იმედი მაქვს, რომ „კრება“, ეს ძალიან კარგი ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად დაისახა შეკრიბოს ბათუმური საზოგადოება და სხვადასხვა ხელოვანები გააცნოს ან ნაცნობ ხელოვანებს მისცეს საშუალება ახალი შემოქმედება წარუდგინონ საზოგადოებას, არაერთ მსგავს ღონისძიებას მოაწყობს და მე დიდი სიამოვნებით, უკვე სტუმრის სტატუსით, დავესწრები. ეს არის გენიალური წამოწყება და მადლობა ამისთვის საბა ოკუჯავას, - გვითხრა გენრი დოლიძემ.



პოეზიის საღამოზე შეკრებილებს, ორგანიზატორს მადლობა გადაუხადა პოეტმა სულხან წულუკიძემ. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და მათ შორის ბათუმი ძალიან პოეტური ქალაქია, პოეზიის მოყვარულებს ძალიან აკლიათ მსგავსი ბათუმური, თბილი საღამოები.

- მე ვარ ბედნიერი, რადგან ეს არ იყო მხოლოდ ის საღამო, სადაც საკუთარი ლექსები წავიკითხე, ეს იყო საღამო, რომელზეც უამრავი დადებითი ემოცია გავცვალეთ ადამიანებმა. ყოველი მსგავსი ღონისძიება გაძლევს ახალ მოტივაციას, რომ მომავლისთვის უფრო გაამდიდრო შენი შემოქმედება და მკითხველს ახალი სათქმელით დაუბრუნდე. დღევანდელი საღამო იყო ჩვენი და ჩვენი მკითხველის ურთიერთობის საუკეთესო გამოვლინება, რისთვისაც მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს და განსაკუთრებით - საბა ოკუჯავას, - გვითხრა სულხან წულუკიძემ.

საღამოს დასასრულ ემოციები გაგვიზიარა, მისი დაარსებული ორგანიზაციის გეგმებზე გვესაუბრა საბა ოკუჯავა.

- მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ უჩვეულოდ ბევრი ადამიანი მოვიდა დღევანდელ საღამოზე, რაც ცხადყოფს, რომ პოეზია და ზოგადად, მსგავსი უშუალო ურთიერთობებით გაჯერებული ღონისძიებები ძალიან მოენატრათ ადამიანებს. რაც შეეხება ორგანიზაცია „კრებას“, ის ორიენტირებული იქნება იმ ადამიანების შეკრებაზე, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით, შემოქმედებით ქმნიან ბათუმის ხასიათს, გვიყვებიან მნიშვნელოვან ამბებს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია მუსიკოსებთან, მხატვრებთან შეხვედრა, ჩვენ არაერთ საინტერესო საღამოს შევთავაზებთ საზოგადოებას. დიდი იმედი მაქვს, აღნიშნული საღამოს შემდეგ ბევრი ადამიანი, კომპანია დაგვიდგება გვერდით, რათა „კრებამ“ კიდევ უფრო მეტი დაუვიწყარი ბათუმური საღამო აჩუქოს ბათუმელებს... და არამარტო მათ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ბედნიერი ვარ, რომ ჩანაფიქრს ფრთები შევასხი, ასეთი არაჩვეულებრივი პოეტები დამიდგნენ გვერდით და ერთობლივად შევძელით პოეზიის მოყვარული ადამიანების გახარება, - აღნიშნა საღამოს ორგანიზატორმა, არასამთავრობო ორგანიზაციის „კრება“ დამფუძნებელმა საბა ოკუჯავამ.

„სიტყვით, სულიერებით, ბათუმელობით, სოხუმელობით, ზღვის სურნელით გაჟღენთილი თბილი საღამო... მადლობა!“ - ამ სიტყვებით გამოხატა თავისი ემოციები პროფესორმა გიორგი მასალკინმა.

საღამო, რომელზეც საზოგადოების წინაშე პოეტები თემურ ელიავა, გენრი დოლიძე, სულხან წულუკიძე, გიორგი გაბაიძე, როინ აბუსელიძე და მინდია აბაშიძე წარსდგნენ, მუსიკალურად თიკო ძირკვაძემ და ანრი კაკაბაძემ გააფორმეს, რამაც კიდევ უფრო გაალამაზა, ფერი და ემოცია შეჰმატა ისედაც სასიამოვნო და მრავალფეროვან საღამოს.

# უკრაინა

„დიდი ომის“ 16 თვის განმავლობაში უკრაინელმა ჯარისკაცებმა რუსი დამპყრობლების 120-130 სატანკო ბატალიონი გაანადგურეს, - იუწყება უკრაინის თავდაცვის სამინისტრო. მათი ინფორმაციით, ფართომასშტაბიანი აგრესიის დაწყებიდან რუსეთმა ფრონტზე 4000-ზე მეტი ტანკი დაკარგა, რაც დაახლოებით 120-130 სატანკო ბატალიონს ნიშნავს. „ყოველი განადგურებული მტრის ტანკი არის ნაბიჯი ჩვენი გამარჯვებისაკენ“, - აცხადებენ უწყებაში. უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციით, უკრაინაში შეჭრის დღიდან რუსების საერთო დანაკარგები მოიცავს: 222000-მდე ჯარისკაცს, 4006 ტანკს, 7771 ჯავშანმანქანას, 3920 ერთეულ საარტილერიო სისტემას, 314 საბრძოლო თვითმფრინავს და 306 ვერტმფრენს, 6667 ავტომობილსა და საწვავის ავზს, 18 გემს/ნავს, 3428 უპილოტო საფრენ აპარატს, 539 ერთეულ სპეცტექნიკას, 1214 ფრთოსან რაკეტას.

* * *

უკრაინამ უნგრეთიდან სამი სამხედრო ტყვე დაიბრუნა. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერ ოლეგ ნიკოლენკოს თქმით, უნგრეთიდან დაბრუნებული სამი სამხედრო ტყვე უკვე უკრაინაში იმყოფება და ისინი უზრუნველყოფილი არიან ყველანაირი დახმარებით. ცნობისთვის: ივნისის დასაწყისში უნგრულმა მხარემ განაცხადა, რომ რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და მალტის დახმარების სამსახურს შორის გაფორმებული შეთანხმებების ფარგლებში, მათ რუსეთიდან 11 უკრაინელი სამხედრო ტყვე გაიყვანეს. ამავდროულად, უნგრეთი უკრაინელ დიპლომატებს უკრაინელ სამხედრო ტყვეებთან წვდომას უზღუდავდა და აღნიშნულ პროცესში მთავრობის მონაწილეობას უარყოფდა.

* * *

უკრაინა იარაღის, მათ შორის, დრონების წარმოების გაზრდის საკითხზე მწარმოებლებთან (გერმანიიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან) მოლაპარაკებებს აწარმოებს, რათა მათ უკრაინაში იარაღის წარმოება დაიწყონ, - ამის შესახებ უკრაინის სტრატეგიული მრეწველობის მინისტრის მოადგილე სერჰი ბოიევმა განაცხადა. მისი თქმით, „მათთან ძალიან დეტალური დისკუსია გვაქვს და დარწმუნებული ვართ, რომ მომდევნო რამდენიმე თვეში ხელმოწერილი კონტრაქტები გვექნება“.

* * *

საფრანგეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, მხარი დაუჭიროს უკრაინის ნატოში გაწევრიანებას, რათა გავლენა მოახდინოს რუსეთზე. 12 ივნისს ელისეის სასახლეში, თავდაცვის საბჭოს სხდომაზე, განიხილეს უკრაინის ნატოში შესვლის შესაძლებლობა „უსაფრთხოების დამოუკიდებელი გარანტიის სახით“. პარიზი თვლის, რომ ნატოში უკრაინის გაწევრიანების პერსპექტივაზე მინიშნებამ შეიძლება დაარწმუნოს უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყებაში, როდესაც ის გადაწყვეტს, რომ შესაფერისი დროა.

* * *

„მტერი აგრძელებს ძირითადი ძალისხმევის კონცენტრირებას ლიმანის, ბახმუტის, ავდიივკისა და მარინკის მიმართულებებზე. მძიმე ბრძოლები გრძელდება - გასული დღის განმავლობაში 45 საბრძოლო შეტაკება მოხდა“, - აცხადებენ გენშტაბში. მათივე ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციამ ირანული Shahed-ის დრონებით უკრაინის წინააღმდეგ მორიგი სარაკეტო და საჰაერო დარტყმა განახორციელა. „ინფორმაცია ამ ტერაქტის შედეგების შესახებ ჯერ კიდევ ზუსტდება“, - აცხადებენ გენშტაბში. უწყების ცნობით, ბოლო 24 საათის განმავლობაში რუსები უკრაინას თავს დაესხნენ Shahed-ის ტიპის 33 ირანული დრონით, 7 საზენიტო მართვადი რაკეტით და ერთი „ისკანდერ-მ“ სახმელეთო ბაზირების ფრთოსანი რაკეტით. „საჰაერო თავდაცვის ძალებმა და საშუალებებმა Shahed-ის 30 დრონი გაანადგურეს. გარდა ამისა, მტერმა 83 საჰაერო დარტყმა განახორციელა და ჩვენი ჯარების პოზიციებს და მშვიდობიანი მოსახლეობის დასახლებებს მრავალჯერადი სარაკეტო სისტემებიდან ცეცხლი 58-ჯერ გაუხსნა“, - აცხადებენ გენშტაბში.

* * *

აშშ უკრაინას 1,3 მილიარდი დოლარის ფინანსურ დახმარებას გამოუყოფს, რომელიც ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის საჭიროებებზე დაიხარჯება. დახმარების პაკეტი აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ლონდონში გუშინ გახსნილ უკრაინის აღდგენის საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლისას გამოაცხადა. „მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აგრძელებს განადგურებას, ჩვენ აქ ვართ, რათა დავეხმაროთ უკრაინას ცხოვრების აღდგენაში, ქვეყნის აღდგენაში, მისი მომავლის აღდგენაში“, - განაცხადა ბლინკენმა. მისი თქმით, აშშ 520 მილიონ დოლარს გამოყოფს უკრაინის ენერგეტიკული სისტემის მოდერნიზებისთვის.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

# იტალიელი საოპერო აგენტი – ბათუმში

მე-2 გვერდიდან

- ჩვენი სახელოვანი მომღერლის დამსახურებაა, რომ ბათუმში ჩამოვიდა იტალიელი ტენორი, რომელიც მღეროდა მსოფლიოს საუკეთესო საოპერო სცენებზე, მათ შორის „ლა სკალაში“, „მეტროპოლიტენ ოპერაში“. ირაკლი კახიძე შემპირდა, რომ ჩამოიყვანდა აგენტს და დანაპირები კიდეც შეასრულა. როგორც ვიცი, სტუმარს ხმები ძალიან მოეწონა. ვფიქრობ, ჩვენს მომღერლებს უცხოეთში სიმღერის შანსი გაუჩნდებათ. დაველოდოთ შედეგს, - აღნიშნა მარინა ჯახუტაშვილმა.

- ამ ქალაქში ძალიან კარგი საოპერო ხმები მოვისმინე. ქართველი მომღერლების ხმები შესანიშნავი და მნიშვნელოვანია მსოფლიო ოპერისთვის. დიდი მადლობა ორგანიზატორებს და მომღერლებს, - გვითხრა ჯორჯო ტრუკმა.

- ჩემი აზრით, ჩვენი სასიქადულო მომღერალი ირაკლი კახიძე ამ ახალგაზრდებისთვის ძალიან კარგ და დიდ საქმეს აკეთებს. დღეს გზა ევროპაში გახსნილია და ყველას შეუძლია მოსმენებზე წასვლა, მაგრამ ამის ფინანსური შესაძლებლობა ყველას არ აქვს. ამიტომ აქ, ადგილზე ჩატარებული მოსმენა მათთვის დიდი საჩუქარია. მსურველი ბევრი აღმოჩნდა და ეს კარგია. ძალიან ბევრი ღირსეული ახალგაზრდა გვყავს საოცარი ხმებით და ეს უცხოეთშიც ცნობილი ფაქტია. ყველას დავულოცავ გზას, - გვითხრა თბილისის ოპერის თეატრის კონცერტმაისტერმა მარინა დარჯანია-ხომერიკმა.

# გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით...

გონიოს ზღვის სანაპიროზე გამორიყული, სოციალურ ქსელში გავრცელებულ კადრებზე აღბეჭდილი მკვდარი ცხოველი დელფინია.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სააგენტოში განუცხადეს, მსგავსი ფაქტი ზაფხულობით ყოველწლიურად ათობით ფიქსირდება, რისი გამომწვევი მიზეზიც სხვადასხვაა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ადგილზე სპეციალური ჯგუფი იმყოფებოდა, რომელმაც შავი ზღვის მიერ გამორიყული დელფინი აღმოაჩინა. ამ დროისთვის ცხოველის დათვალიერება და სიკვდილის გამომწვევი მიზეზების დადგენა მიმდინარეობს.

ამირან გურიელიძე

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 21/06/23, 21 50 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „ვერდის ხმების“ კონკურსის შესარჩევ ტურს ბათუმმა უმასპინძლა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*არტურო ტოსკანინის ფონდთან კოლაბორაციის ფარგლებში, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში ბუსეტოს (იტალია) „Voci Verdiane“ („ვერდის ხმები“) 59-ე საერთაშორისო კონკურსის შესარჩევი ტური ჩატარდა. ჟიურის წევრები იყვნენ მსოფლიო ბანი, რეჟისორი ორლინ ანასტასოვი და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი და ვოკალის პედაგოგი, ცნობილი საოპერო მომღერალი მარიამ ჯახუტაშვილი*



აღასანიშნავია, რომ აჭარამ პირველად უმასპინძლა ასეთი დონის საერთაშორისო კონკურსის შესარჩევ ტურს, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქალაქის ცნობადობის გაზრდას და საოპერო მიმართულებით დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას საერთაშორისო ასპარეზზე. ამასთან, ჩვენს დამწყებ თუ უკვე ცნობილ მომღერლებს საშუალება მიეცათ საკუთარ ქვეყანაში და თან მინიმალური ხარჯებით, მონაწილეობა მიეღოთ მსოფლიო დონის კონკურსის შესარჩევ ტურში, გამოეცადათ საკუთარი შესაძლებლობები.

როგორც შესარჩევი ტურის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელმა, საოპერო სოლისტმა ეთერ ხალვაშმა გვითხრა, კონკურსი „ვერდის ხმები“ 1961 წელს დაარსდა და მისი მიზანი იმთავითვე ახალგაზრდა, ნიჭიერი, ისეთი შემოქმედებითი ტალანტების აღმოჩენა იყო, რომელთაც უნარი აქვთ, გაუმკლავდნენ ვერდის გამორჩეულ რეპერტუარს. აღსანიშნავია, რომ ჟიურის წევრები სხვადასხვა დროს იყვნენ ისეთი ცნობილი საოპერო მომღერლები, როგორებიცაა ხოსე კარერასი, ლეილა გენჯერი, რობერტო ალანია და სხვები.

შესარჩევი ტური ბათუმის გარდა ევროპის კიდევ რამდენიმე ქალაქში ჩატარდება, მათ შორის სოფიაში, ვალენსიაში, მილანში, ვენაში, ბუენოს-აირესში, პალერმოში. წლევანდელი კონკურსი სახელგანთქმულ ტენორ კარლო ბერგონცის ხსოვნას ეძღვნება.

კონკურსის პირველი ტური 8, 9 და 10 სექტემბერს გაიმართება. შემდეგ იქნება ნახევარფინალური ტური, ფინალური ეტაპი და ფინალური კონცერტი, ხოლო 16 სექტემბერს გამარჯვებულთა კონცერტს ვერდის სამშობლო უმასპინძლებს. პირველ ადგილზე გასული მიიღებს 8000 ევროს, მეორეზე - 5000-ს, მესამეზე - 3000-ს.

მონაწილეთა რაოდენობა არ იყო ბევრი, მაგრამ როგორც ეთერ ხალვაშმა გვითხრა, ესაა ვერდის სახელობის კონკურსი და მის ოპერებში პარტიების შესრულება არ არის ადვილი, მას განსხვავებული კატეგორიის ხმები ასრულებენ. ეს იყო ონლაინ-მოსმენა, რომლის შედეგსაც ივლისში გავიგებთ. შემდეგ ტურებს იტალია უმასპინძლებს.

შესარჩევ ტურზე ჩამოსული იყვნენ მომღერლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან.

- აღასანიშნავია, რომ ორლინ ანასტასოვი ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრთან მეგობრობს. მან ადრე ჩვენთან მასტერკლასებიც ჩაატარა და როცა ნახა, რომ აქ ხმების ბაზა ძალიან კარგია, გადაწყვიტეს, „ვერდის ხმების“ შესარჩევი ტური ევროპის სხვა ქალაქებთან ერთად, ბათუმშიც ჩაეტარებინათ. რაც შეეხება თავად კონკურსს, ეს არის მსოფლიოში ცნობილი კონკურსი, სადაც კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ, უკვე პირველ-მეორე ტურში, გამარჯვების გარეშეც გახდნენ ცნობილები, რადგან მათ ისეთი აგენტები, თეატრების დირექტორები უსმენენ და ადევნებენ თვალს, რომლებიც შემდგომ ახალგაზრდებს ეხმარებიან საოპერო სფეროში სამომავლო კარიერის შექმნაში. 15 ივლისს ცნობილი გახდება, თუ ვინ აირჩიეს და ვინ გაემგზავრება სექტემბერში კონკურსის მომდევნო ეტაპზე მონაწილეობისთვის იტალიაში. ბათუმიდან ოთხი მომღერალი წარსდგა ჟიურის წინაშე. ასეთ შესარჩევ ტურებზე და კონკურსზე მომღერლებს შენიშვნებს არ აძლევენ, მათ მხოლოდ აფასებენ და თუ როგორ შეაფასეს ისინი, სწორედ ამას გავიგებთ ივლისში, - გვითხრა ეთერ ხალვაშმა.

- ბათუმში იშვიათად იმართება მსგავსი დონის მოსმენები და კარგია, რომ მომღერლებს სახლიდან „გაუსვლელად“ მოგვეცა მასში მონაწილეობის საშუალება, ამისთვის იატალიაში გამგზავრება არაა ადვილი. რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ორგანიზატორებს, - გვითხრა ხელოვნების უნივერსიტეტის მაგისტრანტმა დავით დიასამიძემ.

- ორლინ ანასტასოვი, როგორც ჟიურის წევრი, თამარ ჯავახიშვილის კონკურსზე იყო ჩამოსული. ვერდის კონკურსი იტალიაში დიდი ხანია ტარდება და პირველი შემთხვევაა, როცა მასში საქართველოს წარმომადგენლები მონაწილეობენ. ბუკლეტში აჭარა, ბათუმი დაფიქსირდა, რაც შეუძლებელია, არ გვახარებდეს. უნდა ვთქვა, რომ შესანიშნავი შემსრულებლები ჩამოვიდნენ თბილისიდან და ქუთაისიდან, 12 მომღერალი მონაწილეობდა, აქედან ოთხი - ბათუმიდან. ორლინს ყველა ხმა მოეწონა, აღნიშნა, რომ საქართველო ხმების საბადოა. ძალიან დიდი მადლობა ეთერ ხალვაშს, რომელიც საორგანიზაციო საქმეებში იყო ჩართული, ხათუნა ჩხარტიშვილს, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა მუსიკალური ცენტრის თითოეულ თანამშრომელს, ყველაფერი უმაღლეს დონეზე ჩატარდა. იტალიურმა მხარემ მოითხოვა ყველაფრის ვიდეოთი ნახვა - კლასების, ფორტეპიანოების, დარბაზის... აღნიშნეს, რომ ცენტრმა ტურს საუკეთესოდ უმასპინძლა. ისეთი კარგი, ზღაპრული ხმები იყო, რომ არჩევა ალბათ, გაუჭირდებათ, - გვითხრა მარიამ ჯახუტაშვილმა.

# ხალხური ხელოვნების სკოლა – შესაძლებლობების ფართო არეალი ახალგაზრდებისთვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*ბათუმის საზაფხულო თეატრმა აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის საანგარიშო კონცერტს უმასპინძლა. სკოლის მოსწავლეები და პროფესიული პროგრამების მსმენელები საზოგადოების წინაშე ხალხური სიმღერებით, საგალობლებით, ხალხურ საკრავებზე შესრულებული მელოდიებითა და ქორეოგრაფიული ნომრებით წარსდგნენ*

კონცერტის დაწყებამდე იქ მისულ ადამიანებს საშუალება ჰქონდათ, დაეთვალიერებინათ რეწვის განყოფილების მოსწავლეებისა და პროგრამის „თექის ნაწარმისა და



აქსესუარების დამზადება“ - მსმენელების თეატრის ფოიეში გამოფენილი ნამუშევრები, რომელიც გამოირჩეოდა თავისი მრავალფეროვნებით, ფერთა საოცარი შერწყმით და შესრულების მაღალი ხარისხით.

ჟურნალისტი მანანა მიქელაძე განსაკუთრებული ემოციებით გვიყვება ხალხური ხელოვნების სკოლაში გატარებულ სამ თვეზე, რომელმაც მისცა შესაძლებლობა, აეხდინა დიდი ხნის სურვილი და შეესწავლა თექაზე მუშაობა. მან მადლობა გადაუხადა სკოლის ხელმძღვანელს მოკლევადიანი პროგრამების განხორციელებისათვის, რომელიც არაერთ ადამიანს დაეხმარება შესაძლებლობების ამა თუ იმ მიმართულებით გამოვლენასა და წარმოჩენაში, ასევე ისაუბრა პედაგოგ მზია ბუიღლიშვილზე.

- არაჩვეულებრივი პროექტის მონაწილე გახლდით, რომლის საშუალებითაც შევისწავლე თექაზე მუშაობა და დღეს ქუდებს, შარფებსა და სხვადასხვა აქსესუარს ვამზადებ. მინდა აღვნიშნო, რომ არაჩვეულებრივი ადმინისტრაცია ჰყავს აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლას, რომელიც ორიენტირებულია ხარისხიან სწავლებაზე. მათი ძალიან დიდი შრომის შედეგია, რომ უამრავი ადამიანი გამოთქვამს მზაობას, ჩაერთოს სკოლის მიერ შემოთავაზებულ მოკლევადიან თუ გრძელვადიან პროგრამებში და უფასოდ მიიღოს ცოდნა პროფესიონალი ადამიანებისგან. მინდა არაჩვეულებრივ ქალბატონს და პროფესიონალ პედაგოგ მზია ბუიღლიშვილს გადავუხადო განსაკუთრებული მადლობა, რომელიც სულით ხორცამდე შემოქმედი ადამიანია. ყოველთვის მომწონდა თექა, ჩემს ოჯახში სულ იყო ფარდაგები, ნაქსოვები, ხალიჩები, ნაქარგები, თექის ნამუშევრები, მაგრამ ვერ მოვასწარი, რომ ბებიისა და მამიდისგან მესწავლა ხელსაქმე. დღეს, ამდენი წლის შემდეგ, აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლამ მომცა შესაძლებლობა, ბავშვობის დროინდელ სურვილზე არ მეთქვა უარი და სრულიად უფასოდ მესწავლა თექაზე მუშაობა, რომელიც საოცარ ენერგიას და სითბოს მიტოვებს და ერთგვარი განტვირთვაცაა ჩემთვის, - აღნიშნა მანანა მიქელაძემ, რომელიც არ გამორიცხავს, სკოლაში მიღებული ცოდნა მომავალში, მეგობრებთან ერთად, ბიზნესად აქციოს.

- „თექის ნაწარმისა და აქსესუარების დამზადების“ პროგრამა ჩვენთვის პირველი იყო და მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო მის ნაყოფიერად წარმართვაში. პირველ რიგში, ეს არის ჩვენი დირექტორის, ვახტანგ ბერიძის დამსახურება. სწორედ მისი იდეა იყო, პროგრამა აჭარაში პირველად განხორციელებულიყო და გვემუშავა თექის ნაწარმზე. ძალიან კარგი და შრომისმოყვარე ადამიანები ჩაერთნენ პროგრამაში, მათთან მუშაობა დიდი ბედნიერება იყო. თექაზე მუშაობა იმდენად ენერგეტიკულია, რომ ველარ ანებებ თავს და კიდევ უფრო მეტის კეთება გინდება. ამ პროგრამამ აჭარის მცხოვრებლებს შესაძლებლობა მისცა, რეგიონიდან გაუსვლელად შეისწავლონ ეს სპეციალობა, ამისათვის კი უნდა მობრძანდნენ ჩვენთან, აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში, - განაცხადა მზია ბუიღლიშვილმა.

თავისი კომენტარი მედიის მისამართით მადლობით დაიწყო აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის დირექტორმა ვახტანგ ბერიძემ:

- ყველა მედიასაშუალებას, პირველ რიგში კი გაზეთ „აჭარას“, მის შემოქმედებით გუნდს მადლობას ვუხდი ჩვენი სკოლის ყველა აქტივობით დაინტერესებისათვის. რაც შეეხება ჩვენს სკოლას, დღეს გვქონდა საანგარიშო კონცერტი, ერთგვარი გამოცდა დამამთავრებელი და კურსიდან კურსზე გადამსვლელი მოსწავლეებისათვის. ეს არის თეატრალური უნივერსიტეტის ერთგვარი მოდელი, რომელიც გულისხმობს, სწავლის დასრულებისას დაიდგას საკურსო, სადიპლომო სპექტაკლი, ამის შემდეგ ჩაითვლება, რომ მოსწავლემ დაამთავრა სასწავლებელი. ჩემი იდეა იყო, ამ ფორმით გაგრძელებულიყო სკოლაში სწავლება, რადგან არა მარტო ჩვენ შეგვეფასებინა ის მოსწავლეები, რომლებიც სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ, არამედ საზოგადოებასაც, მოკლევადიანი პროფესიული პროგრამები კი მნიშვნელოვანი შენაძენია არა მარტო ჩვენი სკოლისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის. სახელოვნებო მიმართულებით პროფესიული პროგრამები აჭარაში არ ხორციელდება, პირველები ვართ ჩვენ. ეს არის პროგრამები ხალხური შემოქმედების ირგვლივ, მაგრამ გვაქვს ისეთიც, რომელიც ხალხურ შემოქმედებას ცდება და, ზოგადად, მენეჯმენტს გულისხმობს, რაც კულტურის სფეროს სხვადასხვა დარგის საკადრო რესურსით გაძლიერებას ითვალისწინებს. სამი წლის განმავლობაში გვაქვს ამ პროგრამების განხორციელების უფლება ხარისხის ცენტრისგან მოპოვებული. მისი დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფო სერტიფიკატები, რაც ნიშნავს, რომ კურსდამთავრებულებს უფრო მეტი პერსპექტივა ექნებათ დასაქმების თვალსაზრისით. ვფიქრობ, დღეს ჩვენს რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს და არამარტო მათ, როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი სწავლების პროცესში, შესაძლებლობა აქვთ, უფასოდ მიიღონ განათლება იმ იდენტური ხელოვნების ირგვლივ, რომელიც ქართული, ავთენტურია, ჩვენს სულიერ პროცესს გადმოსცემს. დღევანდელი ჩვენი საანგარიშო კონცერტიც ამის დასტური



იყო. ანგარიშვალდებულად ვთვლი თავს საზოგადოების წინაშე, როგორც ამ სკოლის ხელმძღვანელი და მიხარია, რომ ასევეა ჩემი გუნდიც, - აღნიშნა ვახტანგ ბერიძემ.

***ცნობისთვის:*** *აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში მიმდინარეობს რეგისტრაცია მოკლევადიან პროფესიულ პროგრამაზე „კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი“. ასევე, 30 ივნისის ჩათვლით, გრძელდება აპლიკაციების მიღება სკოლის გრძელვადიან პროგრამებზე: ქორეოგრაფიული საშემსრულებლო ხელოვნება; ხალხური მუსიკა; ტრადიციული რეწვა.*

